პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

კომунисти — орган ЦК и ТК КП Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

№ 122 (9898) | სამშაბათი, 25 მაისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერშია:

საბალხო ზეიმი კიევში (1-ლი გვერდი).

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში (1-ლი გვერდი).

ა. ს. გრიბოედოვისა და ლ. უკრაინკას ხსოვნის აღნიშვნა (მე-2 გვერდი).

დღესასწაული ბელორუსიაში (მე-2 გვერდი).

საბჭოთა ხალხების ძმობისა და მეგობრობის დღესასწაული (მე-2 გვერდი).

საჩუქრები უკრაინელ ხალხს მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების მშრომელთაგან რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად (მე-2 გვერდი).

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის დღეებში სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (მე-3 გვერდი).

აფხაზეთში ჩამორჩენა კვლავ გრძელდება (მე-3 გვერდი).

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

უკრაინული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ხალხთა დიდი ეროვნული დღესასწაული

უდიდესი გულითადობითა და გულთბილობით აღნიშნავს საბჭოთა ქვეყანა რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს. ეს ღირსშესანიშნავი ისტორიული თარიღი გახდა რუსი და უკრაინელი ხალხების დიდი ეროვნული დღესასწაული, დიდი მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის დღესასწაული.

22 მაისს უკრაინის დედაქალაქ კიევში გაიმართა უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესია. განსაკუთრებული აღფრთოვანებით შეხვდნენ უკრაინის მშრომელები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებას, ცნობას იმის შესახებ, რომ უკრაინის სსრ და მისი სახელოვანი დედაქალაქი კიევი დაჯილდოებული არიან ლენინის ორდენებით.

„ეს ჯილდოები, — ნათქვამია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი მისალმებელ წერილში, რომელიც მიღებულია უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე, — უკრაინის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას აღფრთოვანებენ ახალი შრომითი გმირობისა და მიღწევებისათვის ჩვენი დიდი სამშობლოს სადიდებლად, საბჭოთა ხალხების ურღვევი ოჯახის ბედნიერებისა და აყვავებისათვის...

უკრაინელ ხალხს კვლავაც მაღლა ეკავება ჩვენი დიადი პარტიის ძლევამოსილი დროშა, კომუნიზმის დროშა, თვალისჩინივით გაუფრთხილდება სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას, განამტკიცებს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს, სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებასა და თავდაცვისუნარიანობას“.

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის დღესასწაული ყველგან გადაიქცა კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და ხალხის დიდი ერთიანობის მძლავრ დემონსტრაციად, ჩვენი პარტიის, მისი უცდავი დამაარსებლის ვ. ი. ლენინის მიერ გამოჭედილი ხალხთა ურღვევი მეგობრობის დემონსტრაციად. უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე მოძმე უკრაინელ ხალხს მიესალმნენ რუსეთის ფედერაციის, ბელორუსიის, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის დელეგაციები. რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის დღესასწაული მახლობელი და ძვირფასია დიდი ხალხთა მრავალეროვანი ოჯახის თვითეული წევრისათვის იმიტომ, რომ საბჭოთა უკრაინამ თავის აყვავებას მიაღწია იმავე სახელოვანი და უძლეველი დროშით, რომელიც ამაყად ფრიალებს ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში და იცავს მათი ხალხების თავისუფალ მშვიდობიან შრომასა და ბედნიერ ცხოვრებას. ეს არის ჩვენი კომუნისტური პარტიის დიადი ლენინური დროშა, ხალხთა ძმური თანამშრომლობისა და მეგობრობის დროშა, კომუნიზმის დროშა! ორი დიდი სლავი ხალხის — რუსი და უკრაინელი ხალხების საუკუნოებრივი მეგობრობა ცოცხალი, შთამაგონებელი მაგალითია ჩვენი ქვეყნის ყველა სოციალისტური ერისათვის, თვალწინაა უჩვენებს მათ, რომ სსრ კავშირის ხალხთა ძალა, მათი დამოუკიდებლობისა და აყვავების საფუძველია მათი ერთიანობა, დარაზმულობა, ძმური ურთიერთდახმარება, ურღვევი მეგობრობა.

რუს ხალხთან და სსრ კავშირის სხვა ხალხებთან მტკიცე მეგობრობა დაეხმარა უკრაინელ ხალხს დაეცვა საბჭოთა ხელისუფლება, გაენადგურებინა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუცია, გაეწმინდა თავისი მიწა-წყალი უცხოელი ინტერვენტებისაგან. ამ დიადმა მეგობრობამ საშუალება მისცა უკრაინელ ხალხს მოკლე ისტორიულ ვადაში გადაექცია უკრაინა აყვავებულ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სოციალისტურ რესპუბლიკად დიდად განვითარებული მრეწველობით, მსხვილი მექანიზებული სოფლის მეურნეობით და ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური მოწინავე კულტურით. სსრ კავშირის ყველა ხალხის, და უწინარეს ყოვლისა დიდი რუსი ხალხის, ძმური დახმარებისა და უანგარო მხარდაჭერის მეობებით უკრაინის მშრომელებმა ღირსეულად გაუძლეს დიდი სამამულო ომის მკაცრ განსაცდელს.

ყოველი კაპიტალისტური ქვეყანა, რომლისთვისაც ომს ისეთი მძიმე ჭრილობები რომ მიეყენებინა, როგორც საბჭოთა უკრაინას მიაყენა, მრავალ წელს ვერ წამოდგებოდა ფეხზე, უკან დაიხევდა თავის განვითარებაში მრავალი ათეული წლით. უკრაინას ეს არ მოსვლია. მოკლე ვადაში მან არა მარტო აღადგინა ომამდე არსებული ყველა საწარმო, არამედ კიდევაც ააშენა ახალი ქარხნები, ფაბრიკები, ჭვანახშირის შახტები, ელექტროსადგურები. შორს მოტოვებულია უკან უკრაინის სახალხო მეურნეობის განვითარების ომამდელი დონე.

ამჟამად უყველაზე მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი უკრაინის სსრ მხვნელი მრეწველობა უშვებს თითქმის ოთხჯერ მეტ პროდუქციას, ვიდრე მთელი მეფის რუსეთის მხვნელი მრეწველობა უშვებდა 1913 წელს, მათ შორის თითქმის 70-ჯერ გადიდდა ლითონდამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია, 42-ჯერ — ელექტროენერგიის წარმოება. მტკიცდება და განუწყვეტლივ ვითარდება უკრაინის სოციალისტური სოფლის მეურნეობა. ახლა უკრაინის მინდვრებში მუშაობს 69 პროცენტით მეტი ტრაქტორი და 65 პროცენტით მეტი კომბაინი, ვიდრე ომამდე. დიდი მიღწევებია მოპოვებული მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების განვითარებაში. განხორციელდა უკრაინელი ხალხის საუკუნოებრივი ოცნება — უკრაინის მთელი მიწა-წყალი გაერთიანებულია ერთიან უკრაინის საბჭოთა სახელმწიფოში.

უკრაინელი ხალხის უდიდესი წარმატებანი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში კვლავ და კვლავ მოწმობენ, რომ არ არის მსოფლიოში ისეთი ციხე-სიმაგრე, რომლის აღება არ შეეძლოს საბჭოთა ხალხების მტკიცე ოჯახს, არ არის ისეთი სიძნელე, რომელთა გადალახვა არ შეეძლოს მას!

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის დღესასწაულს უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ამის შესახებ კარგად თქვა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის დელეგაციის ხელმძღვანელმა სტეფან იგნარმა. გამოხატა რა გრძნობები პოლონელი ხალხისა, რომლის მეგობრობა რუს, უკრაინელ და სსრ კავშირის სხვა ხალხებთან დღითიდღე იზრდება და მტკიცდება, გამოხატა რა ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის გრძნობები და ფიქრები, მან განაცხადა:

„თქვენი ძლიერება და აყვავება, თქვენი მშვიდობიანი კომუნისტური მშენებლობა ჩვენი თავისუფლების, დამოუკიდებლობის, მშვიდობის გარანტიაა, ჩვენი განვითარებისა და აყვავების გარანტიაა. თავისუფალი საბჭოთა ხალხების დიდი ოჯახი, რომელშიც სპპატიო ადგილი უკავია ნიჭიერ უკრაინელ ხალხს, შესანიშნავ მაგალითს უჩვენებს მთელი დედამიწის ხალხებს და განუმტკიცებს მათ მთელ მსოფლიოში მშვიდობის, დემოუკიდებლობისა და სოციალიზმის საქმისადმი დახმარების რწმენას“.

დიდი, უქრობი შუქურასავით კაშკაშებს მსოფლიოში სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა. ხალხთა მეგობრობის საბჭოთა იდეოლოგია ამხნევებს იმპერიალისტი მტაცებლების კაცთმოძულეობის ქადაგებას, რასობრივი და ეროვნული მტრობისა და ჩაგვრის მგლური იდეოლოგიას და თვალნათლივ მოწმობს, რომ სოციალიზმი — ეს არის თავისუფალ, თანასწორუფლებიან ხალხთა მშვიდობიანი შრომა, მეგობრობა და ძმური თანამშრომლობა.

ამ დიადი მეგობრობის ძალა ის არის, რომ სსრ კავშირის ყველა ხალხს აქვს ერთი მიზანი, რომლისთვისაც ისინი ცხოვრობენ და შრომობენ. ეს მიზანია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული პოლიტიკის განხორციელება, პოლიტიკისა, რომლის მიზანია ხალხის კეთილდღეობა და კომუნიზმის აშენების უზრუნველყოფა ჩვენს ქვეყანაში. სსრ კავშირის ყველა ხალხთა მიზნის ერთიანობა მკაფიოდ გამომჟღავნდა ამ დღეებშიც, როცა ყველა რესპუბლიკაში საზეიმოდ აღნიშნავენ რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს. ეს ისტორიული თარიღი რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის ხალხებმა, ყველა მოძმე მოკავშირე რესპუბლიკის მშრომელებმა აღნიშნეს ახალი წარმატებებით იმ ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს, — მძიმე ინდუსტრიის შემდგომი განვითარებისათვის, სოფლის მეურნეობისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მკვეთრი აღმავლობისათვის, მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. განამტკიცებენ და ამრავლებენ რა ამ წარმატებებს, სსრ კავშირის ხალხები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით, მტკიცე რწმენით მიდიან წინ, კომუნიზმისაკენ.

„პრავდის“ 24-ე მაისის.

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოსა და უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭო და უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გულითად მადლობას უძღვნიან ყველა ორგანიზაციას, დაწესებულებასა და პირთ, რომლებმაც გამოგზავნეს მისალმებანი და მოლოცვები უკრაინელი, რუსი და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის დიდ ეროვნულ დღესასწაულ — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავთან დაკავშირებით.

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭო
უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

1954 წლის 25 მაისი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების საყურადღებოდ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია გაიხსნება ა. წ. 27 მაისს დღის 2 საათზე.

დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს 26 მაისს დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შენობაში, ოთახი № 6, ტელეფონი № 3-43-48.

სახალხო ზეიმი კიევში

კიევი, 23 მაისი. (საკდესი). დღევანდელი დღე დაუვიწყარი, უსაზღვრო სიხარულით და ზეიმით აღსავსე დღეა უკრაინელი ხალხისათვის.

კიევი განუმეორებლად, სადღესასწაულოდ არის მორთული, ყვავილებით, დროშებით, ალისფერი ტილოებით არის დამშვენებული. შენობების ფასადებზეა მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები, უზარმაზარი პანოები „სამუდამოდ მოსკოვთან, სამუდამოდ რუს ხალხთან“. ყველგან ოქროსფრად ბრწყინავს ციფრები და სიტყვები **„300 років воз'єднання України з Росією“**. ყველგან მოჩანს ლოზუნგები, მიძღვნილი კომუნისტთა სახელოვანი პარტიისადმი, რომელმაც ხალხები მჭიდროდ დარაზმა მომძე რესპუბლიკების ერთიან, განუყოფელ ოჯახად. ამ რესპუბლიკების შექმნით ჰპოვა თავისი ბედნიერება უკრაინამ.

ოკეანეს ტალღებივით ჩქეფს კიდით კიდემდე მხიარულება. ისმის მუსიკა, მოხდენილი უკრაინული და რუსული სიმღერები, სიმღერები პარტიაზე, სამშობლოზე, მეგობრობაზე. სადღაც ქალაქის განაპირას წამოწყებული სიმღერა უსაზღვრო ნაკადად ერთვის ხმაურიან ქუჩებს, მოედანს, სადაც ბედაური ყალყზე შეუყენებია ბოგდან ხმელნიცკის. დიდებულად და ამაყად გაისმის ეს სიმღერა დნეპრზე, დნეპრის გალმა სივრცეებზე.

მღერის კიევი, მღერის მთელი უკრაინა.

და როგორც ყოველთვის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის დროს, თვალს ახარებს განახლებული კრეშჩატიკის საზეიმო მორთულობა. დღეს იგი განსაკუთრებით ლამაზი და დიდებულია. საიდანაც უნდა გადახედო, თვალწინ იშლება პროსპექტის მომხიბვლელი პანორამა. აქ თეთრი შენობების ფონზე ლამაზად მოჩანან ახლად ამშვენებული წაბლის ხეები და ხუმუქა ცაცხვები.

მთავრობის ტრიბუნის თავზე აღმართულია ალისფერი დროშა მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის პორტრეტებით. ტრიბუნებზე ადიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, რესპუბლიკის წარჩინებული ადამიანები, მრავალი სტუმარი — რუსეთის სფსრ, ბელორუსიის, უზბეკეთის, ყაზახეთის, საქართველოს, ლიტვის, აზერბაიჯანის, მოლდავეთის, ლატვიის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, სომხეთის, ესტონეთის, თურქმენეთის, კარელიო-ფინეთის სსრ რესპუბლიკების დელეგაციები, მეგობრული პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლები.

მთავრობის ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები ა. ი. კირიჩენკო, ნ. ტ. კალჩენკო, დ. ს. კოროტჩენკო, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. პ. ტარასოვი, მოკავშირე რესპუბლიკების დელეგაციების ხელმძღვანელები.

ფანფარები ხალხს აუწყებს პარადის დაწყებას. პარადს იწყებენ ნორჩი მებოლეები. ისინი შეიკვალეს ოფიცერთა ნაკრებმა კოლონებმა. მებრძოლ მეთაურთა მკაფიო მწყობრად მოდიან ბოგდან ხმელნიცკის ორდენის კავალრები — მოსკოვის, სტალინგრადის, მშობლიური საბჭოთა მიწა-წყლის დამცველები. ტრიბუნებს მტკიცე ნაბიჯით ჩაუარეს ქვეითებმა, მფრინავებმა, ტანკისტებმა, სამხედრო სასწავლებლების კურსანტებმა. საყოველთაო აღტაცებას იწვევენ სუვოროველთა მწყობრი მწკრივები.

მოდის საბრძოლო ტექნიკა. მიწას აზანზარებენ მძლავრი საწევრები სხვადასხვა სისტემისა და კალიბრის ქვემეხებით. ჯერ კიდევ არ დამცხრალა კრეშჩატიკზე მოტორების გუგუნი, რომ მაღლა ცაში გაისმა მძლავრი ხმაური. ქალაქს გადაუქროლეს რეაქტიულმა თვითმფრინავებმა. ისინი საერთო აღტაცებას იწვევენ.

პარადი დამთავრებულია. იწყება უკრაინის დედაქალაქის მშრომელთა საზეიმო მსვლელობა. განიერ კრეშჩატიკზე შემოდიან დემონსტრანტთა სადღესასწაულო კოლონები. წინ ამაყად ფრიალებს სსრ კავშირის, რუსეთის სფსრ და უკრაინის სსრ სახელმწიფო ალმები. ეროვნული კოსტიუმებით გამოწყობილ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს მოაქვთ ლენინის ორდენის მატკეტი. ეს დიდი ჯილდო ხვდათ საბჭოთა უკრაინას და ქალაქ კიევს. დემონსტრანტებს მოაქვთ ყვავილებით გაკეთებული ტრანსპარანტი **„300 років воз'єднання України з Росією“**. თექვსმეტი მოკავშირე რესპუბლიკების გერბები და ალმები. შემდეგ მოდის ქალაქის მედროშეთა კოლონა.

ლამაზად არის მორთული ბავშვთა კოლონები. წითელი ყაყაჩოები გადახლართულია ვაშლის ხის აყვავებულ ტოტებთან, ალისფერი ალმები ცისფერ, წითელ, ლურჯ ბურთოებთან. პანოებსა და ტრანსპარანტებს, რომლებიც პიონერებს უკავიათ, აწერია სიტყვები გულითადი მადლობისა კომუნისტური პარტიისადმი ბედნიერი ბავშვობისათვის. მოდიან მხიარული, სიცოცხლით სავსე ფიზკულტურელები. სპორტსმენების წინ მოაქვთ პრიზები, რომლებიც მოიპოვეს უკრაინელმა მძლეოსნებმა, მცურავებმა, ფრენბურთელებმა, შტანგისტებმა.

წითელი დროშები მოაქვთ რაიონების მშრომელთა კოლონებს. მათ მოაქვთ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები. უკრაინულ და რუსულ ენებზე ქუდის სიტყვები, რომლებითაც გამარჯვებას უსურვებენ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხების მეგობრობას. ამ სიტყვებს ფარავს მძლავრი „ვაშა“. მოდიან ქალაქის სამრეწველო საწარმოების კოლექტივები. ქარხნების „ლენინსკაია კუზნიცას“, „ბოლშევიკის“, „კრასნი ექსკავატორის“, „ტოჩელექტრომპრიბორის“ და სხვ. მუშებს მაღლა აღუმართავთ დიაგრამები, რომლებიც მოგვითხრობენ საბჭოთა ხელისუფლების წლებში რესპუბლიკის მრეწველობაში მომხდარ უდიდეს გარდაქმნებზე.

ბევრ პლაკატზეა პატაკები ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად სოციალისტურ გალდებულებათა შესრულების შესახებ. გორკის სახელობის, ლეპსეს სახელობის, პისმენის სახელობის ქარხნების, აბრეშუმის კომბინატის, კარლ მარქსის სახელობის ფაბრიკის, სმირნოვ-ლასტოჩკინის სახელობის და ათობით სხვა ქარხნის კოლექტივებმა ვადამდე შეასრულეს ხუთი თვის გეგმები.

უკრაინელი ხალხი საყვარელი სამშობლოსათვის კანონიერი სიამაყით ავლებს დღეს თვალს რუსი ხალხისა და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის დახმარებით შექმნილი მძიმე ინდუსტრიის განვითარების გზას.

ახლა უკრაინა იღებს იმაზე მეტ ქვანახშირს, ვიდრე საფრანგეთი, ბელგია და იტალია ერთად, ამზადებს მეტ ფოლადს, ვიდრე საფრანგეთი და იტალია ერთად, ხოლო მანქანათმშენებლობის დარგში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია ევროპაში.

— გაუმარჯოს ხალხთა შორის ძმურ მეგობრობას.

— დიდება დიდ რუს ხალხს, — ისმის კოლონებში. მშვენიერია ბედნიერი უკრაინელი ხალხის დღესასწაული. უკრაინელ ხალხს ბევრი რამ აქვს სასიხარულო.

უმაგალითო წარმატებებს მიაღწიეს უკრაინის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც იბრძვიან კვების პროდუქტებისა და ბამრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვის შესაქმნელად, რომელიც ფართო მოხმარების საქონელს ამზადებს. შარშან უკრაინამ სამშობლოს მისცა ბევრად მეტი ხორბალი, ვიდრე ომამდელ 1940 წელს.

აი მხიარული სიმღერებით მოდის უკრაინული ეროვნული ტანსაცმლით გამოწყობილ დემონსტრანტთა კოლონა. ეს არის კიევის ტ. გ. შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის, კონსერვატორიის, კაპელა „დუმკის“ და მუსიკალური სასწავლებლის ნაკრები გუნდი და ორკესტრი. ტრიბუნებიდან მხურვალედ უკრავენ ტაშს უკრაინული ხელოვნების წარმომადგენლებს.

საბჭოთა უკრაინა მოწინავე სოციალისტური კულტურის რესპუბლიკაა, რომლის აყვავება წარმოებს მძლავრი რუსული კულტურის კეთილმყოფელი გავლენით.

კრეშჩატიკზე მოდიან მეცნიერები, მწერლები, სტუდენტები. ისინი დღესასწაულზე გამოვიდნენ და გულში მოაქვთ პარტიისა და მთავრობისადმი, რუსი ხალხისადმი სიყვარულისა და მადლობის უღრმესი გრძნობა იმ უდიდესი ზრუნვისა და დახმარებისათვის, რომლის მეოხებით უკრაინელმა ხალხმა უმაგალითო წარმატება მოიპოვა კულტურულ მშენებლობაში. ახლა რესპუბლიკაში მუშაობს 147 უმაღლესი სასწავლებელი — უფრო მეტი, ვიდრე დასავლეთ ევროპის რომელიმე კაპიტალისტურ ქვეყანაში. ამ სასწავლებლებში სწავლობს ათჯერ მეტი სტუდენტი, ვიდრე უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

ხარობს კიევი, ზეიმობს საბჭოთა უკრაინა.

საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის — ორი მოძმე ხალხის გაერთიანების 300 წლისთავის დღეს უკრაინა, რომელიც საერთაშორისო ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა, მგზნებარე, გულითად სალამს უთვლის ახალი ჩინეთის, კორეის, მონღოლეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ალბანეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს — ყველა ხალხს, რომლებიც დაუცხრომლად იბრძვიან მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

კრეშჩატიკზე გრიალებს შეძახილები:

— გაუმარჯოს ხალხთა მეგობრობას!

— გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

მოდის და მოდის მორთულ ადამიანთა ნაკადი. წარუშლელია დღესასწაულის შთაბეჭდილება. უკრაინელმა ხალხმა კვლავ ცხადყო თავისი სიყვარული და ნდობა კომუნისტური პარტიისადმი, თავისი დარაზმულობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, მზადყოფნა იბრძოლოს ახალი გამარჯვებებისათვის კომუნიზმის მშენებლობაში. დემონსტრაცია გახდა სახელოვანი საბჭოთა სამშობლოს სოციალისტური ერების ურღვევი, სამარადისო მეგობრობის ნამდვილი ტრიუმფი.

კიევის მშრომელთა სადღესასწაულო სვლაში მონაწილეობა მიიღო 500 ათასმა კაცმა.

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე კიევში ჩასული საქართველოს სსრ დელეგაცია.
ფოტო ნ. ციდილკოვსკისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში

საყოველთაო-სახალხო დღესასწაული — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი — აღვსავებულ მაისს მოჰყვა მოსკოვში. ყველგან ალისფრად მოჩანს ტრანსპარანტები, რომლებსაც აწერია სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობის გამარჯვების, მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გამარჯვების სიტყვები. შენობების ფასადებზეა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები.

დიადი ზეიმის დღეებში თითქოს მოსკოვშია მთელი ჩვენი ქვეყანა. დილით რადიომ გაგვაგონა ყოველი რუსი ადამიანის გულისათვის მშობლიური და მახლობელი უკრაინული სიტყვები:

— ლაბარაკობს კიევი!

დიად ფიცად გაისმა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სესიისა და დიდი რუსი ხალხისადმი უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიისა და უკრაინელი ხალხის მიმართვის სიტყვები: „როგორც ზღვები და ოკეანეები არ აშორებსა, ასევე არასდეს არ დაიღლება რუსი და უკრაინელი ხალხების საუკუნოებრივი ძმური მეგობრობა“.

როცა მოსკოვის ქუჩებში და მოედნებზე ადამიანთა ნაკადები მდიოდნენ, რადიოს შოჰქონდა ამბავი, რომ საყოველთაო-სახალხო დღესასწაული დაიწყო ბელორუსიასა და უზბეკეთში, ლიტვასა და ყაზახეთში, საქართველოსა და მოლდავეთში, ყველა რესპუბლიკაში.

ნოსკოველები თავს აყრიდნენ წითელ მოედანზე, კრემლთან, სადაც სამი საუკუნის წინათ რუსეთმა მიიღო უკრაინის წარმოგზავნილნი და დახმარების ხელი გაუწოდა უკრაინელ ხალხს.

მოსკოვის საწარმოთა კოლექტივები სიამაყით აღნიშნავენ რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს. მოსკოველები და უკრაინელები ერთმანეთს უზიარებდნენ გამოცდილებას, უამბობდნენ თავიანთ წარმატებებს. დღესასწაულის დღეები ამით ითინშნა, რომ დედაქალაქიდან უკრაინის მშენებლობებს გაეგზავნათ გეგმის გადამეტებით დამზადებული ავტომობილების, ელექტრომოწყობილობისა და ჩარხების ახალი ეშელონები.

მოკაზმული გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი. ცენტრალურ ესტრადაზე გაიმართა კონცერტი „დიადი მეგობრობა“. მის პროგრამაშია გლინკას, მუსორგსკის, გულაკ-არტემოვსკის, ლისენკოს ქმნილებანი, ხალხური სიმღერები. სხვა ესტრადებზე მსახიობები კითხულობდნენ პუშკინის ლექსებს უკრაინაზე და შევჩენკოს ნაწარმოებებს ორის ხალხზე.

პარკის ბოლოში გამართულია შეჯიბრება, ვინ უკეთ შეასრულებს ეროვნულ ცეკვას.

ვეებერთელა უკრაინული მოჭარგული ტილო ამშვენებს იზმაილის კულტურისა და დასვენების პარკის შესასვლელს. ტილოზე აღბეჭდილია: „რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი“. ცენტრალურ ხეივანში არის მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ალმები.

გრანდიოზულმა სპორტულმა დღესასწაულმა ათეულ ათასობით მოსკოველი მიიზიდა „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე. ტრიბუნებზე ფრიალებს 16 მოკავშირე რესპუბლიკის ალმები. სტადიონის მწვანე ველზე საზეიმო პარადისათვის დაწყობილია ფიზკულტურელთა კოლონები. მათ შორის არის უკრაინელ სპორტსმენთა დიდი ჯგუფი.

ორი ათასზე მეტმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა მასობრივ ტანვარჯიშში. დასასრულ მათ შუაგულ მინდორში შექმნეს გიგანტური ლამაზი კომპოზიცია, რომლის გვერდებზეც გაჩნდა ღირსშესანიშნავი თარიღის „300 წლისთავის“ ციფრები ასობი.

დედაქალაქის ყველა სტადიონზე, მღინარე მოსკოვზე, კულტურისა და დასვენების პარკებში და წყალჯიმარდობის აუზებში, სადღესაწაულო კოლოზე გაიმართა ფიზკულტურელთა შეჯიბრება, მიძღვნილი რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის დღესასწაულისადმი.

მანეჟის მოედანი მთელი ქალაქის სახალხო სეირნობის ადგილად გადაიქცა. აქ ნახავდით არა მარტო დედაქალაქის მცხოვრებთ, არამედ ზაპოროჟიელ მეტალურგს, კარელიელ ტყის მკაფავს, ბაქოელ მენავთობეს, აჯადმოკოსსა და სტუდენტს, სახელგანთქმულ გენერალსა და ახალგაზრდა ჯარისკაცსაც.

სახალხო დღესასწაულმა მოსკოვში ცხადყო ურღვევი მეგობრობა რუსი, უკრაინელი და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისა, რომელნიც წარმატებით ახორციელებენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიდებულ პროგრამას, რომელიც პარტიამ დასახა. (საკდესი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია ჩავიდა უნგრეთის მშრომელთა პარტიის III ყრილობაზე

ბუდაპეშტი, 24 მაისი. (საკდესი). დღეს ბუდაპეშტში უნგრეთის მშრომელთა პარტიის III ყრილობაზე ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელშიც შედიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი კ. ე. ვოროშილოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი მ. ბ. მიტინი და ი. ტ. ვინოგრადოვი.

სსრ კავშირისა და უნგრეთის საზღვარზე დელეგაციას შეეგებნენ უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ერნე გერე, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი უნგრეთში ვ. დ. კისელიოვი. ბუდაპეშტის დასავლეთის ვოგზალში დელეგაციას შეეგებნენ უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი მატეას რაკოში, უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იმრე ნაგი და უნგრეთის მშრომელთა პარტიის სხვა ხელმძღვანელები და უნგრეთის მთავრობის წევრები, აგრეთვე წევრები მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციებისა, რომელნიც ჩამოვიდნენ.

ა. ს. გრიბოედოვისა და ლ. უკრაინკას ხსოვნის აღნიშვნა

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის დღეებში რესპუბლიკის მშრომელებმა პატივი სცეს რუსული და უკრაინული კულტურის გამოჩენილი მოღვაწეების — ა. ს. გრიბოედოვისა და ლ. უკრაინკას ხსოვნას, რომლებმაც ხელი შეუწყეს ქართველ, რუს და უკრაინელ ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას.

23 მაისს დიდი რუსი მწერლის ა. ს. გრიბოედოვის საფლავთან მთაწმინდაზე შეიკრიბა თბილისის საზოგადოებრიობის მრავალრიცხოვანი წარმომადგენელი. საფლავი შეამკეს ცოცხალი ყვავილების ბევრი თაიგულით. თაიგულებით შეამკეს აგრეთვე გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, ქართული ლიტერატურის კლასიკოსის ი. ჭავჭავაძის საფლავი.

იმავე დღეს სურამში, სადაც ცხოვრობდა და სიცოცხლის უკანასკნელი დღეები გაატარა უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსმა ლ. უკრაინკამ, თაიგულებით შეამკეს გამოჩენილი მწერლის ძეგლი. აქ შეიკრიბნენ ქალაქ თბილისის, ხაშურის რაიონისა და სხვა რაიონების მშრომელთა წარმომადგენლები.

ა. ს. გრიბოედოვისა და ლ. უკრაინკას ხსოვნის აღნიშვნაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ვ. მყავანაძე, გ. ჯავახიშვილი, ო. გოცირიძე, დ. მჭედლიშვილი, მ. კუპავა, ა. ონაური, ა. გუნია, მ. ლელაშვილი, თ. ჯანელიძე. (საქდესი).

ოლქში, რომელიც გოგდან ხმელნიცკის სახელს ატარებს

ხმელნიცკი, 23 მაისი. (საკდესი). უკრაინელი ხალხის დიდი შვილი — ბოგდან ხმელნიცკის სახელობის ოლქის მშრომელები განსაკუთრებული სიხარულით აღნიშნავენ რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს.

დღეს დემონსტრაციები და მიტინგები გაიმართა ოლქის ყველა ქალაქსა და რაიონულ ცენტრში. დღესასწაულში მონაწილეობა მიიღეს მოსკოვისა და ველიკიე ლუკის ოლქების კოლმეურნეთა და კოლმეურნის რაინგზის სადგურ სიზრანის რკინიგზელთა დელეგაციებმა, რომლებიც სტუმრად არიან ჩამოსულნი.

საოლქო ცენტრში დემონსტრანტების პირველ რიგებში გაიარა სამხედრო-დასავლეთი რკინიგზის ხმელნიცკის განყოფილების კოლნამ. რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისადმი მიძღვნილი შეჯიბრების დღეებში გრეჩანსკის საორთქლმავლო დეპოს მემანქანეებმა გაატარეს ათასზე მეტი მძიმე წონის მატარებელი.

საქალაქო და საკოლმეურნეო პარკებში, სტადიონებზე მოეწყო მასობრივი ხალხური სეირნობანი, კლუბებსა და კულტურის სასახლეებში გაიმართა საღღესასწაულო საღამოები.

დღესასწაული გელორუსიაში

მინსკი, 23 მაისი. (საკდესი). მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ბელორუსიის მშრომელები ფართოდ აღნიშნავენ რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს. დღეს დილიდან მინსკის მშრომელებით აივსო ქალაქის პარკები და სკვერები. აქ გამოვიდნენ ბელორუსიის სსრ სახელმწიფო გუნდის, ბელორუსიის სახელმწიფო ესტრადისა და ფილარმონიის კოლექტივები. ისინი ასრულებდნენ რუსულ, უკრაინულ, ბელორუსულ სიმღერებს მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ხალხთა დიდი მეგობრობის შესახებ.

გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში მრავალი მნახველი გაეცნო ფოტოდოკუმენტალურ გამოფენას, რომელიც მიძღვნილია რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისადმი.

ზემიოთ აღნიშნეს დიადი დღე ბრესტის მშრომელებმა. ამ თარიღს მიეძღვნა სიმღერის დღესასწაული, ხუთათასიანმა ნაკრებმა გუნდმა შეასრულა რუსული, უკრაინული და ბელორუსული ხალხური სიმღერები და საბჭოთა კომპოზიტორთა სიმღერები. დაახლოებით ორი ათასი კაცი დაესწრო აქ გასტროლებზე ჩამოსული ციტმაშის საოლქო მუსიკალურ-დრამატული თეატრის სპექტაკლებს.

მასობრივი სახალხო სეირნობანი მოეწყო აგრეთვე ვიტებსკში, მოგილიოვში, გროდნოში, ბელორუსიის რაიონულ ცენტრებსა და სოფლებში.

აზერბაიჯანის მშრომელთა სიხარული

ბაქო, 23 მაისი. (საკდესი). დღეს აზერბაიჯანის მშრომელებმა სიხარულით აღნიშნეს რუსეთთან უკრაინის შეერთების ღირსშესანიშნავი თარიღი.

დილიდან ბაქოს ყველა პარკში, სკვერში, მოედნებზე მოეწყო მასობრივი სადღესასწაულო სეირნობანი. სტალინის მოედანზე შეიკრიბა ათეულათასობით ბაქოელი. გაისმის აზერბაიჯანული ეროვნული მელოდიები, რომლებსაც ცვლის რუსული და უკრაინული მელოდიები. გიგანტურ წრეში მყვირალა მოცეკვავეები ცეკვავდნენ უკრაინულ „კაზაჩოკს“, აზერბაიჯანულ ცეკვას „ჯანგის“, რუსულ ცეკვას „ბარინიას“.

სახალხო სეირნობანი მოეწყო აგრეთვე ჯაროვაბადში, სტეფანაკერტში, ნახჭევანში, სუმგაითსა და აზერბაიჯანის სხვა ქალაქებში.

დიადი მეგობრობა

ერევანი, 23 მაისი. (საკდესი). სომეხი ხალხი დიდი სიხარულით აღნიშნავს რუსი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის სამი საუკუნის იუბილეს.

რესპუბლიკის დედაქალაქი მორთულია ტრანსპარანტებით, პანოებითა და პლაკატებით, რომლებზეც დაწერილია სიყვარულისა და დიდი მადლობის სიტყვები ჩვენი სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი, რომელმაც ყველა საბჭოთა ხალხი ერთ ოჯახად დარაზმა. სიყვარულისა და მისალმების სიტყვები მიმართულია დიდი რუსი და უკრაინელი ხალხებისადმი.

ხალხმრავალი სეირნობანი მოეწყო ქალაქის ბაღებსა და პარკებში. ყველგან გაისმოდა სიმღერები რუსულ და უკრაინულ ენებზე.

მეგობრობისა და ძმობის შესანიშნავი თარიღი დღეს აღინიშნა ფეიქრების ქალაქ ლენინაკანში, მადლობით ტბის სეანის ნაპირებთან, არარატის ველის ნაყოფიერ ბაღებში, სომხეთის ყველა ქალაქსა და სოფელში, რომლებმაც რუსი ხალხის ხელით მიიღეს თავისუფლება და ბედნიერება დიდი ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ.

საბჭოთა ხალხების ძმობისა და მეგობრობის დღესასწაული

საბჭოთა ხალხი ფართოდ აღნიშნავს თვალსაჩინო ისტორიულ მოვლენას — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს. ეს სახელოვანი იუბილე უკრაინელი და რუსი ხალხების დიდი ეროვნული დღესასწაულია, სსრ კავშირის ყველა მოძმე ხალხის დღესასწაულია. იგი ზეიმით აღნიშნეს 23 მაისს ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა ქალაქში, ათასობით სოფელში.

მოირთო, გაახალგაზრდავდა ძველი ქალაქი კიევი.

საბჭოთა უკრაინის დედაქალაქის შენობათა ფასადებზე ფრიალებს დროშები, გაკრულია უზარმაზარი პანოები „სამუდამოდ მოსკოვთან, სამუდამოდ რუს ხალხთან“. ყველგან მოჩანს ციფრები და სიტყვები „300 років воз'єднання України з Росією“. ტრანსპარანტებზე წარწერილია სიტყვები, რომლებიც სულით და გულით გამოხატავენ სიყვარულსა და ერთგულებას კომუნისტური პარტიისადმი, რომელმაც ხალხები დარაზმა მოძმე რესპუბლიკების ერთიან ურღვევ ოჯახად.

დიდებულია კრეშჩატიკი მისი ახალი სახლებით, რომლებიც უკანასკნელ წლებში აშენდა. აქედან იშლება პროსპექტის ვრცელი პანორამა, რომლის თეთრი შენობების ფონზე ლამაზად მოჩანს ახლადამწვანებული ნორჩი წაბლისხეები და ხუჭუჭა ცაცხვები.

23 მაისს საბჭოთა უკრაინის დედაქალაქში გაიმართა ჯარების პარადი და ვშრომელთა დემონსტრაცია.

მთავრობის ტრიბუნის თავზე აღმართულია ალმა მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის პორტრეტებით. ტრიბუნებზე არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, რესპუბლიკის წარჩინებული ადამიანები, მრავალი სტუმარი — რუსეთის სფსრ, ბელორუსიის, უზბეკეთის, ყაზახეთის, საქართველოს, ლიტვის, აზერბაიჯანის, მოლდავეთის, ლატვიის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, სომხეთის, ესტონეთის, თურქმენეთის, ყარელია-ფინეთის სსრ დელეგაციები, მეგობრული პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლები.

იწყება პარადი. მოდიან მებრძოლა მეთაურები, ბოგდან ხმელნიცკის ორდენის კავალრები—მოსკოვის, სტალინგრადის, მშობლიური საბჭოთა მაწარწყლის დამცველები.

მოდიან ქვეითები, მფრინავები, ტანკისტები, სამხედრო სასწავლებელთა კურსანტები, სუვოროველები. მოდის საბრძოლო ტექნიკა — მძლავრი საწევრები სხვადასხვა სისტემისა და კალიბრის ქვემეხებით. ცაში ძლიერდება მოტორების მძლავრი გუგუნი. ელვასავით გადაიკროლებენ რეაქტიული თვითმფრინავები. ისინი საყოველთაო აღტაცებას იწვევენ.

პარადის შემდეგ დაიწყო კიევის მშრომელთა საზეიმო სვლა. ფართო კრეშჩატიკზე შემოდიან დემონსტრანტთა სულ ახალ-ახალი სადღესასწაულო კოლონები. ამაყად ფრიალებს სსრ კავშირის, რუსეთის სფსრ და უკრაინის სსრ სახელმწიფო ალმები. დემონსტრანტებს მოაქვთ ლენინის ორდენის მაკეტი. 22 მაისს ამ მაღალი ჯილდოს ღირსი გახდნენ საბჭოთა უკრაინა და ქალაქი კიევი. ბევრ პლაკატზეა შრომითი გამარჯვებების მაჩვენებლები. უკრაინის დედაქალაქის ათობით საწარმოს კოლექტივებმა ვადამდე შეასრულეს ხუთი თვის გეგმები. რესპუბლიკის მშრომელები საყვარელი სამშობლოსათვის სიამაყით აჯამებენ საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხის დახმარებით შექმნილი ძლიერი ინდუსტრიის განვითარების შედეგებს. ახლა უკრაინა ქვეყანას აძლევს უფრო მეტ ქვანახშირს, ვიდრე საფრანგეთი, ბელგია და იტალია ერთად, აწარმოებს მეტ ფოლადს, ვიდრე საფრანგეთი და იტალია ერთად, ხოლო მანქანათმშენებლობის დარგში ევროპაში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია. უმაგალითო წარმატებები მოიპოვეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. შარშან უკრაინამ სამშობლოს ბევრად უფრო მეტი ხორბალი მისცა, ვიდრე ომამდელ 1940 წელს.

ამ ტრიბუნის წინ მიდის უკრაინული ეროვნული ტანსაცმლით გამოწყობილი დემონსტრანტთა კოლონა. ეს არის კიევის ტ. გ. შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის, კონსერვატორიის, კაპელა „დუმკას“ და მუსიკალური სასწავლებლის ნაკრები გუნდი და ორკესტრი. საბჭოთა უკრაინა ამაყობს თავისი მოწინავე სოციალისტური კულტურით, რომელიც მძლავრი რუსული კულტურის კეთილნაყოფიერი გავლენით აფურჩქნება.

მოდიან მეცნიერები, მწერლები, სტუდენტები. ახლა რესპუბლიკაში მუშაობს 147 უმაღლესი სასწავლებელი, უფრო მეტი. ვიდრე დასავლეთ ევროპის რომელიმე კაპიტალისტურ ქვეყანაში. ამ სასწავლებლებში სწავლობს 10-ჯერ მეტი სტუდენტი, ვიდრე უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სწავლობდა.

კრეშჩატიკზე გრიალებს შეძახილები: — გაუმარჯოს ხალხთა მეგობრობას! — გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

კიევის მშრომელთა სადღესასწაულო სვლაში მონაწილეობა მიიღო 500 ათასმა კაცმა.

ზეიმით და სიხარულით აღნიშნეს ეროვნული დღესასწაული ხარკოვის, დნეპროპეტროვსკის, ოდესის, სტალინოს და უკრაინის სხვა ქალაქების მშრომელებმა.

სამი საუკუნის წინათ შეიკრიბა ისტორიული პერეიასლავის რადა, რომელმაც სამარადისოდ შეადუღაბა რუსეთისა და უკრაინის ხალხების ურღვევი ძმური კავშირი. 23 მაისს დღესასწაულზე ძველ პერეიასლავ-ხმელნიცკში ჩამოვიდნენ ახლომახლო სოფლების კოლმეურნეები და მექანიზატორები, მრავალი სტუმარი.

ფართო მოედანზე, რომელსაც უკრაინელი ხალხის დიდი შვილის ბოგდან ხმელნიცკის სახელი ჰქვია, აღმართულია საბჭოების სახლის, ახალი სასტუმროს, უნივერმაღის თეთრი ქვის შენობები. დღესასწაულის წინადღეებში აქ გაიხსნა ახალი კინოთეატრი, საექსპლოატაციოდ გადაეცა საცხოვრებელი სახლები, მაღაზიები. ბევრი ჭუჩის გაყოლებით, პარკებსა და სკვერებში დარგულია ათასობით ხე, გაშენებულია ყვავილნარები.

დილის 10 საათია. იწყება ჯარის ნაწილების პარადი. მოდიან საბჭოთა არმიის ჯარისკაცები და ოფიცრები, რომლებიც განასახიერებენ სსრ კავშირის სახელოვანი შეიარაღებული ძალების ძალასა და ძლიერებას. ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე მოდიან დემონსტრანტების კოლონები. მსვლელობას იწყებენ მოსწავლეები, რომლებსაც მოაქვთ ცოცხალი ყვავილების თაიგულები. ბავშვებს მოაქვთ ტრანსპარანტები, როძლებზეც აღბეჭდილია მადლობის სიტყვები მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, რომელმაც მათ ბედნიერი ბავშვობა შეუქმნა. მოდიან სამშენებლო ორგანიზაციების, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოების მუშები, რაიონულ დაწესებულებათა მოსამსახურეები. დემონსტრანტებს შორის არიან მელიორატორები, რომლებმაც ნაყოფიერი მიწები გამოსტაცეს ჭაობებს. მათ მარტო ომისშემდგომ წლებში ამოაშრეს ოთხი ათასამდე ჰექტარი მიწა.

რუსი და უკრაინელი ხალხების დიდ მეგობრობაზე, რომლის ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინებაა უკრაინის სსრ შემადგენლობაში ყირიმის ოლქის გადაცემა, ილაპარაკეს სევასტოპოლში გამართული მშრომელთა მიტინგის მონაწილეებმა.

დილით გმირ ქალაქ სევასტოპოლში გაიმართა მეზღვაურთა პარადი. შავი ზღვის ფლოტის სარდლის კატერი და სტუმარი კატერები მიდიან სახაო გემთან, რომელსაც ოქროს ასოებით აწერია დიდებული სახელი: „სევასტოპოლი“. გემბანზე მწკრივებად დაწყობილან მეზღვაურები. სარდალი მიესალმება მეზღვაურებს, ულოცავს მათ რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის დღესასწაულს. ბუხტებს აზანზარებს მატროსთა ვაშა! კატერები ჩამოუვლიან ყველა კლასის ხომალდებს, რომლებიც მწყობრად დგანან ბუხტებში. ბევრ ხომალდზეა გვარდიის ალმები, ორდენები, რომლებიც მიღებულია სამამულო ომის დროს საბრძოლო გმირობისათვის.

ჯარის პარადი გაიმართა 23 მაისს აგრეთვე ხარკოვში, ლვოვში, ოდესაში.

დიდა დღესასწაულის დღეებში საუცხოოა მოსკოვი. ჰაერში ფრიალებს თექვსმეტივე რესპუბლიკის ფერადი ალმები. საწარმო-დაწესებულებათა და საცხოვრებელი სახლების შენობებზეა საკავშირო და რესპუბლიკური გერბები, ალისფერი ალმები, მხატვრული პანოები, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები.

23 მაისს ადრე გაიღვიძა მოსკოვმა. მრავალწლოვანი ცაცხვებით გამწვანებულ ფართო ქუჩებში, მოედნებზე და სკვერებში გაისმოდა ძოძხიბველი ხალხური სიმღერები. მუსიკის ხმაზე გატაცებით ცეკვავდნენ წყვილები. ათეულ ათასობით მოსკოველმა მოიყარა თავი „დინამოს“ სტადიონზე. აქ გაიმართა დიდი სასპორტო დღესასწაული, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მოსკოვისა და უკრაინის ფიზკულტურელებმა. სტადიონის თავზე ფრიალებს 16 მოკავშირე რესპუბლიკის ალმები, მკაფიოდ გამოირჩევა ისტორიული თარიღი „1654-1954“.

მოსკოვის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. პუშნოვი ულოცავს სპორტსმენებს რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს. იგი მაყურებელთა ტაშის გრიალში უკრაინელ ფიზკულტურელებს უძღვნის სამახსოვრო თასს. უკრაინის დელეგაციის ხელმძღვანელი სპორტის დამსახურებული ოსტატი აპხ. ბუსიგინი მხურვალე მადლობას იხდის საჩუქრისათვის. იგი მოსკოვის სპორტსმენებს ბროლის ვაზას უძღვნის რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის სახსოვრად.

მოსკოველები ხანგრძლივი ტაშით ეგებებიან ძვირფას სტუმრებს — მოძმე უკრაინელი ხალხის სპორტსმენთა კოლონას. მრავალფეროვანი იყო სპორტსმენთა გამოსვლების პროგრამა „დინამოს“ სტადიონზე. აქ თავიანთი ხელოვნება გამოამჟღავნეს ტანმოვარჯიშეებმა, მძლეოსნებმა. მორბენალნი ერთმანეთს გაეჯიბრნენ სიჩქარეში, სიმარჯვესა და ამტანობაში.

მსხვრივ სატანვარჯიშო გამოსვლებში ორი ათასზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა.

საღამოს მოსკოვის მოედნები თავისებურ უდიდეს თეატრებად გადაიქცა. აქ ათასობით ადამიანი ისმენდა პროფესიონალ მსახიობთა, მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივთა გამოსვლებს. ბევრი ხალხი იყო დედაქალაქის განაპირა უბნებში, ლენინის გორაზე მოსკოვის უნივერსიტეტის ახალ შენობასთან, ქალაქის ცენტრში, მანეჟის, პუშკინის, თეატრალურ მოედნებზე.

სახელოვანი თარიღისადმი მიძღვნილი დიდი სახალხო სეირნობა გაიმართა ლენინგრადში, კუიბიშევში, სტალინგრადში, ჩელიაბინსკსა და რუსეთის ფედერაციის ბევრ სხვა ქალაქში.

23 მაისს სახალხო სეირნობა, სიმღერების დღესასწაული, მასობრივი ფიზკულტურული შეჯიბრებები გაიმართა აგრეთვე მინსკში, ტაშკენტში, ალმა-ატაში, თბილისში, ვილნიუსში, ბაქოში, კიშინიოვში, რიგაში, ფრუნზეში, სტალინაბადში, ერევანში, ტალინში, პეტროზავოდსკში.

სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობის აღსანიშნავად კიევში, ხარკოვში, პერეიასლავ-ხმელნიცკში, ლვოვსა და გმირ ქალაქებში — სევასტოპოლსა და ოდესაში მიცემულ იქნა სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით. (საკდესი).

საჩუქრები უკრაინელ ხალხს მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების მშრომელთაგან რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად

უკრაინელი ხალხისადმი მხურვალე სიყვარულის ნიშნად, საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად მოკავშირე რესპუბლიკების დელეგაციებმა უკრაინის სსრ მთავრობას გადასცეს მრავალი საჩუქარი.

რუსეთის სფსრ მშრომელებმა უკრაინელ ძმებს გაუგზავნეს რუსეთის სფსრ და უკრაინის სსრ სახელმწიფო გერბები, რომლებიც გაკეთებულია ფერადი ქვების, ბროლისა და ვერცხლისაგან, ხოჯორის ქარხნის ოსტატთა ნახელავი ანჰიდრიტის ორი დიდი ვაზა. იშვიათი სინატიფით გამოირჩევა ურალის როდონიტისაგან გაკეთებული კოლოფი ვერცხლის კარკასითა და ზურმუხტის სამკაულებით. დმიტროვის ფაიფურის ქარხანაში დამზადებულია ორი ქანდაკება „ბოგდან ხმელნიცკი ცხენზე“ და „ბუტურლინი და ბოგდან ხმელნიცკი“, სტალინური პრემიის ლაურეატის ორლოვის ნამუშევარი.

არხანგელსკის ოლქის ხოლმოგორის რაიონის ლომონოსოვის სახელობის ძვლისაჩუქურთმო არტელის ოსტატთა ნახელავი ჩუქურთმიანი თასი, დაღისტნის ასსრ რუკელის ხალიჩის საქსოვი არტელის ოსტატ ქალთა ნაქსოვი დიდი ხალიჩა, სელის ძაფისაგან ნაქსოვი მაქმანის ფარდა ოქროქსოვილით — ეს და ბევრი სხვა საჩუქარი გაუგზავნეს რუსეთის ფედერაციის მშრომელებმა უკრაინელ ხალხს.

ძვირფასი საჩუქრები ჩაიტანა ბელორუსი ხალხისაგან ბელორუსიის სსრ დელეგაციამ. მათ შორის არის ქუდი, რომელიც ბოგდან ხმელნიცკის ეკუთვნოდა, რადიომიმღები „ბელარუსი“ მხატვრული ინკრუსტაციით, ბელორუსული ენაზე გამოცემული ტ. გ. შევჩენკოს „კობზარი“.

ყაზახმა ხალხმა უკრაინელ ხალხს საჩუქრად გადასცა ყაზახეთის ყველაზე მალი ცხენი, ვერცხლით გაწყობილი უნაგირითა და აკაზმულობით. საჩუქართა შორის არის ეროვნული ინსტრუმენტი დომბრა სადაფის ინკრუსტაციით, რესპუბლიკის რუკა, ფერადი აბრეშუმით ამოქარგული, რომელზეც აღნიშნულია ყამირი და ნასვენი მიწები, რაც წელს აითვისებენ.

ხალიჩა, რომელზეც ხელოვნურად არის აბრეშუმით ამოქარგული სსრ კავშირის, რუსეთის სფსრ და უკრაინის სსრ სახელმწიფო გერბები ლამაზი ეროვნული ორნამენტით, გამოგზავნეს ყირგიზეთის მშრომელებმა. ხალიჩა ბოგდან ხმელნიცკის გამოსახულებით აზერბაიჯანელი ხალხის სახელით საჩუქრად გადასცა აზერბაიჯანის სსრ დელეგაციამ. ოქროთი, ვერცხლითა და ძვირფასი ქვებით ნაქსოვი ხალიჩა გადასცა უზბეკეთის სსრ დელეგაციამ.

„გმირ უკრაინელ საბჭოთა ხალხს, რომელიც დღესასწაულობს დიდ რუსეთთან შეერთების 300 წლისთავს, ქართველი ხალხისაგან ძმური სიყვარულით“, — ასეთი წარწერა აქვს გაკეთებული ქართულ და უკრაინულ ენებზე ფაიფურის დიდ ვაზას, რომელიც საქართველოდან გამოგზავნეს.

ლიტვის სსრ მშრომელებმა უკრაინელ ძმებს აჩუქეს ლამაზი კოლოფი ქარვის სამკაულებით. სომხეთის სსრ დელეგაციამ ჩაიტანა ხაოიანი ხალიჩა ბოგდან ხმელნიცკის გამოსახულებით, აგრეთვე ტ. გ. შევჩენკოს და უკრაინელ საბჭოთა მწერლების მთელი რიგი წიგნები, რომლებიც გამოცემულია სომხურ ენაზე. ტაჯიკეთის სსრ რესპუბლიკიდან გაგზავნილია დიდი ხალიჩა, რომელზეც გამოხატულია ვ. ი. ლენინი. ფაქიზი, მხატვრული მუშაობით გამოირჩევა ქარხანა „ვეფის“ მიერ გაფორმებული რადიოლა და ფაიფურის დიდი ვაზა — ლატვიის მშრომელთა საჩუქარი. „ხალხთა მეგობრობა“ — ასეთ თემაზე დიდი გემოვნებით არის ინკრუსტაციით გაფორმებული ესტონელი ხალხისაგან საჩუქრად მიტანილი მაგიდა.

მოლდავეთის სსრ მშრომელებმა უკრაინელ ხალხს საჩუქრად გადასცეს საიუბილეო ხალიჩა ეროვნული ორნამენტით და ბარელიეფი „პერეიასლავის რადა“, თურქმენეთის სსრ მშრომელებმა — ხალიჩა — ბოგდან ხმელნიცკის პორტრეტი, კარელია-ფინეთის სსრ მშრომელებმა — კარელიის არყის ხისაგან მხატვრულად შესრულებული უკრაინის სსრ გერბი.

რუსეთის სფსრ მშრომელებმა გაგზავნეს აგრეთვე ბევრი ძვირფასი საჩუქარი: უკრაინის ცალკეული კოლმეურნეობების, მტს-ების, ქარხნებისა და ფაბრიკების სახელზე.

ლენინგრადის ლუნაჩარსკის სახელობის ფაბრიკის კოლექტივმა კიევის კონსერვატორიას საჩუქრად გაუგზავნა ქსარი. მოსკოვის ბაიანის ფაბრიკამ რესპუბლიკის მხატვრული თვითმოქმედების სხვადასხვა კოლექტივს გაუგზავნა ბაიანები. ლენინგრადის ფაბრიკა „კრასნი ოქტიაბრის“ მიერ დამზადებული პიანინო განკუთვნილია ჩერკასის ოლქის ჩიგირინის რაიონის მშრომელებისათვის. მოვერცხლილ და მოვარაყებულ ჩასაბერ ინსტრუმენტებს მიიღებენ საჩუქრად რუსეთის ფედერაციის მშრომელებისაგან კიევის ოლქის პერეიასლავ-ხმელნიცკის რაიონის კოლმეურნეები, ოდესის ოლქის შევჩენკოს მტს-ი, პოლტავის ოლქის ზენკოვოს მტს-ი, ჩერკასის ოლქის ჩიგირინის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა და სხვ.

დღეს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ხელოვნების კიევის სახელმწიფო მუზეუმში დიდი ეროვნული დღესასწაული — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავი იხსნება მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების ხალხებისაგან უკრაინელი ხალხისადმი მიძღვნილ საჩუქართა გამოფენა.

სურათებზე: 1. თბილისი. გრიბოედოვის სახლავს ყვავილებით ამკობენ. 2. სურამი. პიონერებსა და მოსწავლეებს ყვავილები მიაქვთ ლესია უკრაინკას ძეგლთან.

ფოტო ვ. გინზბურგისა და შ. გოქაძისა.

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის ოფიციალური დელეგაციების ჩამოსვლა დედაქალაქის აეროპორტში



ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 24 მაისი. (საკდესი). გუშინ ჩეხოსლოვაკიის ყველა ცენტრალურმა გაზეთმა გამოაქვეყნა ტექსტი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებისა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოსადმი, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოსა და უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი; გამოქვეყნებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი უკრაინის სსრ ორდენებით დაჯილდოების შესახებ.

გაზეთებმა გამოაქვეყნეს აგრეთვე რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისადმი მიძღვნილი სხვა მასალები.

გულგარეთი

სოფია, 23 მაისი. (საკდესი). ბულგარელი ხალხი ფართოდ აღნიშნავს საბჭოთა ხალხების დიად დღესასწაულს — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს. გაზეთები „რაბოტნიჩესკო დელო“ და „ოტეჩესტვენ ფრონტი“ რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს უძღვნიან სარედაქციო სტატიებს.

ამ საზეიმო საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის დღეებში, წერს „რაბოტნიჩესკო დელო“, ჩვენი ხალხი თავის სიხარულს უერთებს საბჭოთა ხალხების სიხარულს. ჩვენი ძვირფასი საბჭოთა ძმების დღესასწაული ჩვენი დღესასწაულიც არის. ვამაყობთ, რომ ჩვენი მოკავშირეა დიდი საბჭოთა ქვეყანა, სადაც გაიზარდა და განმტკიცდა დღემდე უმაგალითო დიდი მეგობრობა თავისუფალ და თანასწორუფლებიან ხალხთა შორის.

საბჭოთა ხალხების ღირსშესანიშნავ დღესასწაულთან — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავთან დაკავშირებით მთელი ბულგარელი ხალხი სულით და გულით უსურვებს რუს, უკრაინელ ხალხებს და ყველა საბჭოთა ხალხს ახალ გამარჯვებებს კომუნიზმის მშენებლობისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და მსოფლიოს ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

გაზეთი „ოტეჩესტვენ ფრონტი“ წერს: „დღეს, როცა კარპატებიდან კამჩატკამდე ათობით ენაზე გაისმის მეგობრობისა და სიყვარულის სიტყვები, ერთგულებისა და ერთიანობის სიტყვები, ბულგარელი ხალხი უერთებს მათ თავის ხმას და აცხადებს: „ურღვევია ჩვენი მეგობრობაც საბჭოთა კავშირის ხალხებთან, რომლებიც მტკიცე ნაბიჯით მიდიან წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ. სამუდამოდ დიდ საბჭოთა კავშირთან!“

რუმინეთი

ბუქარესტი, 23 მაისი. (საკდესი). რუმინელი ხალხი სიხარულით აღნიშნავს რუსი, უკრაინელი და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების დიად დღესასწაულს — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს. პრესა აქვეყნებს ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილ მრავალ მასალას. გაზეთი „სკინტეია ტინერეტულუი“ მოწინავე სტატიაში „სამუდამოდ ერთად“ წერს:

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის დღეს რუმინელი ხალხი მხურვალე სალმს უძღვნის დიდი მეგობრული ქვეყნის ხალხებს და უსურვებს მათ ახალ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებაში.

ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად მთელ რუმინეთში მიმდინარეობს რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეული. ბუქარესტში, საოლქო და რაიონულ ცენტრებში გაიხსნება გამოფენები თემაზე: „უკრაინელი ხალხის ბედნიერი ცხოვრება“. კინოთეატრებში უჩვენებენ საბჭოთა კინოფილმებს: „აყვავებული უკრაინა“, „ტარას შევჩენკო“, „ბოგდან ხმელნიცკი“, „უკრაინული ხელოვნების ოსტატთა კონცერტი“ და სხვ. მთელი რიგი ქალაქების სახელმწიფო თეატრები თაეიანთ სცენებზე უჩვენებენ უკრაინელი კლასიკოსების და თანამედროვე დრამატურგების პიესებს. ბუქარესტისა და კლუჟის სახელმწიფო ფილარმონიები, პროფესიული ანსამბლები და მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები დამთავრებენ კონცერტებს უკრაინელი და რუსი კომპოზიტორების ნაწარმოებებიდან.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

ბერლინი, 23 მაისი. (საკდესი). რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის გამო გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება 1954 წლის 23 მაისიდან 30 მაისამდე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ბერლინის დემოკრატიულ სექტორში აწყობს „უკრაინის სსრ კვირეულს“.

„უკრაინის სსრ კვირეულის“ დღესასწაულის დროს მოეწყობა მსახიობთა გამოსვლები, გამოფენები. საზოგადოების წარმომადგენლები მოხსენებებს გააკეთებენ საბჭოთა უკრაინის შესახებ, კინოთეატრებში უჩვენებენ კინოფილმებს „მაისის ღამე“, „ბარაქიანი ზაფხული“ და სხვ.

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავი მუსიკალური ნაწარმოებები

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად საბჭოთა კომპოზიტორებმა შექმნეს ახალი ნაწარმოებები — საგუნდო სიმღერები, კანტატები და სიმღერები.

მხცოვანმა კომპოზიტორმა დ. ვასილიევ-ბუგლაიმ დაწერა ციკლი საგუნდო სიმღერებისა უკომპანემენტოდ. იგი შედგება ხუთი საგუნდო სიმღერისაგან „სამასი წელი“, „ოხ, მარტო ვარ, მარტო“, „უკრაინას“, „იკრიბებოდნენ კომკავშირელები“ და „ერთმანეთს შეხვდა ორი ძმა“.

კანტატა

აფხაზეთში ჩამორჩენა კვლავ გრძელდება

დილის შვიდი საათია. სოხუმის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობა „ბაღნარის“ მინდვრებში ვართ. რამდენიმე ბრიგადის ნაკვეთი დავათვალიერეთ, მაგრამ ერთი კოლმეურნეც ვერ ვნახეთ მინდვრად მომუშავე. შემდეგ კოლმეურნეობის კანტორის ეზოში მოვხვდით. აქ კოლმეურნეობის აგრონომი ამხ. შ. სიხარულიძე და მეზუთე ბრიგადის წევრი ამხ. ა. წიფურია დაგვხვდნენ, ელოდებოდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ვ. სართანიას. ეზოში რამდენიმე სული მუშა-პირუტყვი იყო მინდვრად გასვლის მოლოდინში. 8 საათი შესრულდა, მაგრამ არავინ ჩანდა. გუთნისდედას ა. წიფურიას აგრონომმა უსაყვედურა: რას უყურებ, ამხანაგო, წაიყვანე მუშა-პირუტყვი და სიმინდი თესეო. მაგრამ გუთნისდედას რა ექნა, მთესველი ა. მამფორია არსად ჩანდა. დაგვიანებულნი ზანტად გროვდებოდნენ კანტორის ეზოში და აქ უსაქმოდ ფუსფუსებდნენ. მათ სრულიად არ აღელვებდათ ის, რომ კოლმეურნეობას დათესილი ჰქონდა მხოლოდ 14 ჰექტარი სიმინდი. 8 საათსა და 30 წუთზე გამოჩნდა თავმჯდომარეც. კოლმეურნეები ძლივს ეღირსნენ მინდვრის სამუშაოთა დავალებების მიღებას...

ასეა აქ ხშირად — მინდვრის სამუშაოთა ამ ცხარე დღეებში. ასე იკარგება ძვირფასი დრო. კოლმეურნეობაში საგაზაფხულო ხვნაც ჯერ სანახევროდაც არ დაუმთავრებიათ. არ შესდგომიან ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახის თესვას. უფრო მეტიც, თესლს ახლა დაეძებენ. ასევე ძლიერ ჩამორჩნენ ხეხილის ბაღების საგაზაფხულო სამუშაოებში, თამბაქოს რგვასა და ბოსტნეულის თესვაში.

კოლმეურნეთა ერთი ნაწილი (ა. ავეტიანი, ა. მესხი და სხვ.) აქტიურად არ მონაწილეობს საკოლმეურნეო შრომაში. კოლმეურნეობის გამგეობასა და პარტიულ ორგანიზაციას ჯერ კიდევ არ გარდაუქმნიათ მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების მოთხოვნათა შესაბამისად. აქ არ იციან რა არის თესვის კვადრატულ-ბუდობრივი წესი და როგორ უნდა მივიღოთ კვადრატი. ეს იქიდანაც ჩანს, რომ სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივად დაუთესიათ ხეხილის ბაღებში (!). ასეთი უგულებელყოფილება დამოკიდებულება მოსავლიანობის გადიდების ამ ახალ პროგრესული მეთოდისადმი აშკარა დანაშაულია.

ყველაფერი ეს კარგად იცის სოხუმის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ამხ. ა. კვარაცხელიამ, მაგრამ ამ შეუწყნარებელ ფაქტს რატომღაც ურიგდება.

სოფელ ოდიშის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში არ აწუხებთ ის, რომ, მიუხედავად დაწესებული ავროვადების გასვლისა, ხვნა-თესვის გეგმა სანახევროდაც არა აქვთ შესრულებული. ჩამორჩენის მთავარი მიზეზი ის არის, რომ კოლმეურნეობაში მოუწყობელია შრომა. დ. ჩალაძე, ვ. ჯელაძე, ი. რეხვიაშვილი, შ. ჩალაძე და სხვები, სულ 36 კოლმეურნე თვითნებურად სხვაგან წავიდა სამუშაოდ. სრული დატვირთვით არ იყენებენ მუშა-პირუტყვს. 73 სული მუშა-პირუტყვით მოხნული აქვთ 58 ჰექტარი, ხოლო დათესილი — 16.

სოხუმიდან არც ისე შორს მდებარეობს სოფელ ბესლეთის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობა. აქ წლების განმავლობაში ვერ ასრულებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გეგმას.

ამ კოლმეურნეობაში სუსტია შრომის დისციპლინა, მოუწესრიგებელია შრომა. ყველა კოლმეურნე არ მონაწილეობს საკოლმეურნეო სამუშაოებში. კოლმეურნეებს გ. ხარაიშვილს, მ. ლომიძეს, თ. ხარაიშვილს, ე. ჯიჩკარიანს და სხვებს მიმდინარე სამეურნეო წელს არც ერთი შრომადღე არ გამოუმუშავებიათ. ასე გადის თვეები. ეს მდგომარეობა კარგად იციან სოხუმის რაიონის ხელმძღვანელმა მუშაკებმა, მაგრამ რატომღაც არავითარ ზომებს არ იღებენ კოლმეურნეობაში შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

კოლმეურნეობაში ვერ იყენებენ არსებულ რეზერვებს. 58 სული მუშა-პირუტყვით დათესეს მხოლოდ 27 ჰექტარი. ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახის თესვის დავალების გასანაღდებლად თავს არ იწუხებენ.

ბესლეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ლ. კალანდიას არ აღელვებს კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა. მან არც კი იცის საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები როგორ მიმდინარეობს კოლმეურნეობაში.

მომდინარე წლის იანვრიდან 20 მაისამდე ბესლეთის სასოფლო საბჭოს თავს სესიაზე ან აღმასკომის სხდომაზე ერთხელაც არ განუხილავს ხვნა-თესვის მიმდინარეობის საკითხი. აი როგორ ეხარება სასოფლო საბჭო კოლმეურნეობას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დასაჩქარებლად.

რაიონში არღვევენ კადრების სწორი შერჩევის პრინციპს. დავიწყებული აქვთ, რომ სუსტი მუშაკები უნდა შეიცვალოს უფრო ძლიერი, უფრო მომზადებული და გამოცდილი მუშაკებით. აქ კი ასე როდია. 1952 წლიდან კოლმეურნეობაში სამი თავმჯდომარე შეიცვალა. ხშირად იცვლება საანგარიშო დარგის მუშაკებიც. ამჟამად ორიოდე თვეა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობს შ. ხორავა, რომელიც საქმით დაინტერესებულია, მაგრამ მას რაიონის ხელმძღვანელი ორგანოებიდან სუსტად ეხმარებიან. ისინი მხოლოდ კოლმეურნეობებისადმი ქაღალდების დაგზავნითა და ხშირი მიმოწერით კმაყოფილდებიან. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებთან ცუდად მუშაობენ, არ უწევენ სათანადო დახმარებას სამუშაოებში ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ და ამიტომაც აქ წლების მანძილზე აგროწესების დარღვევით აწარმოებენ სამუშაოებს.

საგაზაფხულო სამუშაოებში ცუდი მდგომარეობაა გულრიფშის რაიონში. აქ პატივისცემით არ სარგებლობს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა აგროწესები. რაიონში 15 მაისისათვის სიმინდი უნდა დაეთესათ 3.300 ჰექტარი, ფაქტიურად ეს დავალება 20 მაისისათვის განაღდებული იყო მხოლოდ 46,9 პროცენტით. კვადრატულ-ბუდობრივად დათესეს 60 ჰექტარი, გეგმა კი 300 ჰექტარს ითვალისწინებს. ასევე ჩამორჩნენ თამბაქოს რგვის, ბოსტნეულის თესვის, ვაზის მყნობის საქმეში, ხოლო ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახები დათესილი აქვთ მხოლოდ 30 ჰექტარი.

მინდვრის სამუშაოებში ასეთ ჩამორჩენას ცუდა ამინდით ხსნიან. სინამდვილეში კი ასე როდია. ჩამორჩენის მიზეზია სოფლის მეურნეობისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა. პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელი მუშაკები კოლმეურნეობებს მხოლოდ ტელეფონით ხელმძღვანელობენ ან გაელით ქმაყოფილდებიან. არ სწავლობენ ჩამორჩენის ნამდვილ მიზეზებს, კოლმეურნეობების ეკონომიკას, არ არიან საქმის კურსში, არ მუშაობენ ადამიანებთან, ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობას სასხლომო ფუსფუსით ცვლიან.

მინდვრის სამუშაოებში ცუდი მდგომარეობაა სოფელ განახლების კეცხოველის სახელობის, მერხეულის რუსთაველის სახელობის, დრანდის წერეთლის სახელობის, გულრიფშის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებში. რაიონში არსებულია 34 კოლმეურნეობიდან არც ერთ კოლმეურნეობას სანახევროდაც არ შეუსრულებია სიმინდის თესვა. ძლიერ ჩამორჩნენ მინდვრად ნაკელის გატანის სამუშაოებში. ამ ჩამორჩენას რაიონში ნაკელის უქონლობით ხსნიან. ჩვენ კი ვნახეთ, რომ სოფელ მერხეულის რუსთაველის სახელობის, მაჭარის ჭავჭავაძის სახელობის, დრანდის წერეთლის სახელობის კოლმეურნეობების ფერმებთან ბლომად ეყარა ნაკელი.

რაიონში უგულებელყოფენ მოსავლიანობის გადიდების ისეთი პროგრესული მეთოდი, როგორიც სიმანდის კვადრატულ-ბუდობრივად თესვაა. ეს სამუშაო გულრიფშის მტს-ს 300 ჰექტარზე უნდა შეესრულებინა. შესრულებული აქვს მხოლოდ 60 ჰექტარზე. ხელით კვადრატულ-ბუდობრივად უნდა დათესონ 500 ჰექტარი, მაგრამ ეს სამუშაო ჯერაც არ დაუწყიათ. ვიძლებოდა თუ არა თესვის გეგმის დროულად შესრულება? დიახ, შეიძლებოდა. ამას მოწმობს აფხაზეთში მოწინავე კოლმეურნეობათა მუშაობა. გალის რაიონის სოფელ ზემო ბარღების კოლმეურნეობა „გაგანტი“ 15 მაისისათვის განაღდებული ჰქონდა სიმინდის თესვის დავალება. ასევე ნაყოფიერად იმუშავეს ამავე რაიონის სოფელ ნარინჯოვანის მალენკოვის სახელობის, ოქუმის ლენინის სახელობის, სოფელ მზიურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებმა. მაგრამ აქაც არიან ჩამორჩენილი კოლმეურნეობები. როგორც ჩანს, რაიონში სუსტად ნერგავენ მოწინავე კოლმეურნეობების, სოფლის მეურნეობის ნოვატორთა გამოცდილებას.

ოჩამჩირის რაიონში საგაზაფხულო ხვნა-თესვაში შედარებით უკეთესი მდგომარეობაა. კოლმეურნეობებმა დაამთავრეს საგაზაფხულო ხვნა. არიან კოლმეურნეობებიც, რომლებიც სწრაფად თესავენ, მაგრამ მოწინავეთა გამოცდილებას ყველა კოლმეურნეობაში როდი იყენებენ. დიდად აჭიანურებენ მინდვრის სამუშაოებს. ეს უწინარეს ყოვლისა ითქმის სოფელ მოქვის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაზე (თავმჯდომარე ე. გოგოხია). აქ 230 ჰექტარი სიმინდი 15 მაისამდე უნდა დაეთესათ. 20 მაისისათვის კი ეს დავალება სანახევროდაც არ იყო განაღდებული.

უნდა აღინიშნოს, რომ 20 მაისისათვის აფხაზეთში საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 47,5 პროცენტით, მათ შორის მრავალწლიანი ბალახების თესვისა — 48,5, ერთწლიანისა — 13,2, საკვები ძირხვენებისა — 21,7, ხოლო სასილოსე კულტურებისა — 6,3 პროცენტით. არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ციტრუსებისა და ჩაის პლანტაციის პირველი გათოხნის, ვაზის მყნობის, თამბაქოს რგვის სამუშაოებში.

აფხაზეთში ასეთი ჩამორჩენა გამოწვეულია იმით, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობები ჯეროვნად ვერ იყენებენ არსებულ მატერიალურ პირობებს და შესაძლებლობებს.

გულრიფშის რაიონში, როგორც აღვნიშნეთ, ძლიერ ჩამორჩნენ საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებში. მდგომარეობის სალიკვიდაციოდ პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა რაიონს „მიაშველა“ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. გ. ბერულავა. აქ პარტიის საოლქო კომიტეტიდან კიდევ მიმაგრებული არიან ამხანაგები ა. კუკავა, ა. ხვინგია. პრაქტიკულად რა დახმარება აღმოუჩინეს მათ რაიონს ჩამორჩენის გამოსწორების საქმეში? ბევრი არაფერი. რაიონში ჩამორჩენა კვლავ გრძელდება.

პარტიის გულრიფშის რაიკომმაც „რწმუნებულთა“ მიმაგრების დაგმობილი მეთოდი პრაქტიკაში კვლავ აღადგინა და კოლმეურნეობებს მიამაგრა რაიკომის მუშაკები. რაიკომის მუშაკებმა ეს „მეთოდი“ კოლმეურნეობაშიც გადატანეს და საბოლოოდ ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა გასტროლიორობით შეცვალეს.

სოფელ მერხეულის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც პარტიის გულრიფშის რაიკომიდან მიმაგრებულია ამხ. კ. საბულუა, 27 აპრილს ღია პარტიულ კრებაზე დაადგინეს ხვნა-თესვაში ჩამორჩენის გამოსასწორებლად მეხუთე ბრიგადას „მიემაგროს“ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. შ. ჯახუა, ამავე დროს ამავე ბრიგადას „მიემაგროს“ რიგითი კოლმეურნე შ. ნაჭყებია (?!).

პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ლ. ჯომიდავა ვერ ერკვევა პარტიული მუშაობის ელემენტარულ საკითხებში. შეკითხვაზე — რატომ მიამაგრეთ კოლმეურნეობის თავმჯდომარე მეხუთე ბრიგადას ხვნა-თესვის საკითხებზე, მან გვიპასუხა, ამა რა გვექნა, პარტიული დავალება ხომ უნდა მიმეცაო (!). მსგავსი ფაქტები რაიონში ერთეული როდია.

პარტიის გულრიფშის რაიკომის მუშაობაში ვხვდებით იერიშობანას. აპრილში 4-ჯერ მოიწვიეს ბიუროს სხდომა. საკვირველია, რომ ამ სხდომებზე ერთხელაც არ განუხილავთ რაიონში ხვნა-თესვის მიმდინარეობის საკითხი. მაისში რაიკომმა ბიუროს ერთხელაც არ უმსჯელია ამ საკითხზე, როცა რაიონში ძალიან ცუდად მიმდინარეობს ხვნა-თესვა. საინტერესოა, პარტიის გულრიფშის რაიკომის მდივანს ამხ. ბ. ჯომიდავას სხვა უფრო მნიშვნელოვანი რა საქმე ჰქონდა?

მიმაგრების არასწორ პრაქტიკას ვხვდებით სოხუმის რაიონშიც. სოფელ ოდიშის მალენკოვის სახელობას კოლმეურნეობაში სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მიმაგრებულია ამხ. ს. სიხარულიძე, ხოლო პარტიის სოხუმის რაიკომიდან ამხ. პ. ესებუაჯია. მათ მიმაგრებას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. 12 მაისს თესვის ჩამორჩენის გამოსასწორებლად მიიწვიეს კოლმეურნეობის გამგეობის კრება და პირველ ბრიგადას „მიამაგრეს“ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. გ. მეტრეველი, მეორე ბრიგადას — კოლმეურნე ამხ. ვ. ჯელაძე, მესამე ბრიგადას — მეორე ბრიგადის წევრი ს. გობეჯიშვილი, მეხუთე ბრიგადას—კოლმეურნე ო. ჯელაძე. საინტერესოა, საიდან გადმოიღეს ასეთი „გამოცდილება“, როცა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მეხუთე ერთ ბრიგადაზე ამაგრებენ და დანარჩენი მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობას ხსნიან?

ყველაფერი ეს მოწმობს, რომ აფხაზეთში ნელა მიმდინარეობს პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნა ახალი ვითარების შესაბამისად. საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტი, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო ქმედით ზომებს არ იღებენ ამ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. საგაზაფხულო სამუშაოებში ჩამორჩენა საგანგაშოდ არ მიაჩნია აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრს ამხ. ა. ღვინჯილიას.

აფხაზეთის რესპუბლიკას ყველა საშუალება აქვს სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის მისაღწევად. ეს შესაძლებლობები მთლიანად იმ შემთხვევაში იქნება გამოყენებული, თუ პარტიის საოლქო კომიტეტი, რაიონული კომიტეტები, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები გადაჭრით გააუმჯობესებენ კოლმეურნეობებისა და მტს-ებისადმი ხელმძღვანელობას, არა სიტყვით, არამედ საქმით გააძლიერებენ სოფლად ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას.

შ. ჭოჭუა,

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათებზე: 1. თბილისის ვაჟთა მე-9 რუსული საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეები გამოცდას აბარებენ გეომეტრიაში. 2. ამიერკავკასიის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელთა სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი ავლაბრის უფროსი არალეგალური ბოლშევიკური სტამბის შენობის წინ.

ფოტო ვ. გინზბურგისა და შ. გოქაძისა.

გამოცდები სკოლებში

პირველი შედეგები

თბილისის ვაჟთა მე-9 საშუალო სკოლაში წარმატებით დაიწყო გამოცდები.

ალექსი მაქსიმის-ძე გორკი, გრიბოედოვის კომედია „ვაი ჭკუისაგან“, რაში მდგომარეობს ადამიანის ბედნიერება? — აი რა თემებზე მოუხდათ წერა მეთერთმეტეკლასელებს რუსულ ენასა და ლიტერატურაში. საყურადღებოა, რომ მეთერთმეტეკლასელთა დიდმა უმრავლესობამ ეს რთული თემები კარგად დაძლია.

პირველი კლასიდანვე ფრიადოსნები არიან მერაბ ჯანელიძე, ალექსანდრე მელიქიანი, გელა კაჩუბაშვილი და იგორ ლავრენტიევი. გამოცდების პირველ დღეს მათ საუკეთესოდ შესრულებული წერითი ნაშრომები ჩააბარეს და მაღალი შეფასება დაიმსახურეს. რუსული ენისა და ლიტერატურის წერაში შეფასება „ხუთი“ მიიღეს აგრეთვე მოსწავლეებმა ვლადიმერ დავითმა, გიორგი გუგუშვილმა და სხვ.

გამოცდები წარმატებით მიმდინარეობს სხვა კლასებშიც. 36 მეექსტაკლასელიდან გამოცდა ბოტანიკაში „ხუთზე“ ჩააბარა 23 მოსწავლემ, „ოთხზე“—ექვსმა მოსწავლემ და ა. შ. მე-10 კლასის 36 მოსწავლიდან ისტორიაში შეფასება „ხუთი“ მიიღო 19 მოსწავლემ; საფუძვლიანი ცოდნა გამოავლინეს მოსწავლეებმა იური ახალოვმა, გუგული ქებურიამ, იური დოიკომ, ნიკოლოზ უხაოვმა, რობერტ სიმონიანმა, იური კანანოვმა და გიორგი ალექსანდროვმა.

გამოცდების მეორე დღეს კარგი მომზადება გამოავლინეს მოსწავლეებმა რუსული ლიტერატურის ზეპირ გამოცდაში. ინგლისურ ენაში, გეომეტრიაში და ალგებრაში.

ორგანიზებულად დაიწყეს

ბათუმი. (საკ. კორ.). გამოცდებს მომზადებული შეხვდა ქალთა პირველი საშუალო სკოლა (დირექტორი აჭარის ასსრ დამსახურებული მასწავლებელი ნ. მაჭუტაძე). 20 მაისს 42 მეთერთმეტეკლასელი გამოცხადდა სკოლაში. მათ წარმატებით დაწერეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ სომწიფის ატესტატზე ჩამაბარებელთათვის დაშვებული სამივე თემა ქართულ წერაში. წარჩინებულმა მოსწავლემ მ. ცქიტიშვილმა გამართულად და შინაარსიანად დაწერა თემა — „რატომ მიყვარს საბჭოთა სამშობლო“, რომელშიც ღრმა პატრიოტული გრძნობები ჩაქსოვა. 42 მეთერთმეტეკლასელიდან ათმა მოსწავლემ წერითი სამუშაო „ხუთზე“ შეაბარუნა.

საფუძვლიან ცოდნას ამუღავნებენ საგამოცდო საგნებში ი. ჭავჭავაძის სახელობის ქალთა მეორე საშუალო სკოლის მოსწავლეები. ბევრმა მეთერთმეტეკლასელმა საუკეთესოდ დაწერა თემები „პატრიოტიზმი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“, „ლ. ქიაჩელის მხატვრული პროზა“. სამმა წარჩინებულმა მოსწავლემ — თ. ინწკირველმა, ლ. ბათმანიშვილმა და ლ. ჯინჭარაძემ აირჩიეს თემა — „რატომ მიყვარს საბჭოთა სამშობლო“.

გამოცდები ასევე ორგანიზებულად და საგამოცდო ინსტრუქციის დაცვით მიმდინარეობს ვაჟთა მე-9, მე-8 და ქალთა მე-8 რუსულ საშუალო სკოლებში.

მეტალურგთა ქალაქში

რუსთავი. (საკ. კორ.). გამოცდები წარმატებით მიმდინარეობს მეტალურგთა ქალაქის სკოლებში. დაუვიწყარია გამოცდების პირველი დღის შთაბეჭდილებანი.

ი ი № 1 რუსული საშუალო სკოლა. ეს არის პირველი კაპიტალური სახკოლო შენობა — მეტალურგთა ახალგაზრდა ქალაქის თანატოლი.

მოზრდილ და ნათელ საკლასო ოთახში პაკეტის გახსნის მოლოდინშია 21 მეთერთმეტეკლასელი. მათ წერითი გამოცდა უნდა ჩააბარონ რუსულ ენასა და ლიტერატურაში. პაკეტის გახსნამდე სკოლის დირექტორი შოთა რეხვიაშვილი მოსწავლეებს უყოთხავს დებეშის ტექსტს, რომელიც გამოცდების დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე მიიღეს მოსკოვიდან.

— მეთერთმეტეკლასელებო, გილოცავთ სასწავლო წლის დამთავრებას, გისურვებთ გამოცდების წარმატებით ჩაბარებას, — ნათქვამია დებეშაში. რუსთაველის მოსწავლეებს ეს დებეშა გამოუგზავნეს იგორ გეთიამ, ბორის მინდლიშმა, გალა ზენკოვამ, ირა კარიდინამ, თამარ ჩუბამ, ალიკ ეროხინმა, რომლებმაც შარშან ფრიადზე დაამთავრეს რუსთავის № 1 საშუალო სკოლა და ამჟამად სწავლობენ ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის — მოსკოვის სხვადასხვა ინსტიტუტებში.

ამხანაგთა დებეშით გახარებული მეთერთმეტეკლასელები წარმატებით შეუდგნენ წერითი სამუშაოების შესრულებას შემდეგ თემებზე: გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“, „ალექსი მაქსიმეს-ძე გორკი“, „რაში მდგომარეობს ბედნიერება“. მოსწავლეთა დიდმა უმრავლესობამ წერითი სამუშაოები საუკეთესოდ შეასრულა.

წარმატებით მოეწყო გამოცდები № 2 ქართულ საშუალო სკოლაში. აქ მეთერთმეტეკლასელთა უმეტესობამ ბაწერ თემად აირჩია „პატრიოტიზმი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“. აღებული თემა კარგად გააშუქეს მოსწავლეებმა გულნარა ბერძენიშვილმა, მერი ზამთარაძემ, ლილი ფოთოლაშვილმა და სხვ.

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია

ამ დღეებში თბილისში მოეწყო ამიერკავკასიის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების სტუდენტთა IV სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ბაქოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ბაქოს აზიზბეკოვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის, ერევნის კარლ მარქსის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის, კაუნასის პოლიტექნიკური ინსტიტუტის, თბილისის ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტისა და საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა.

აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების სტუდენტთა პირველმა სამეცნიერო კონფერენციამ, რომელიც 1951 წელს თბილისში მოეწყო, მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების სტუდენტთა შეგობრობას, ხოლო შემდგომმა კონფერენციებმა, რომლებიც მოწვეულ იქნა ქ. ბაქოში (1952 წ.) და ქ. ერევანში (1953 წ.), უფრო განამტკიცა და შესანიშნავ ტრადიციად აქცია სტუდენტთა შემოქმედებითი მეცნიერული თანამეგობრობა.

ამიერკავკასიის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების სტუდენტთა მეოთხე სამეცნიერო კონფერენციამ, რომელმაც მაღალი იდეური დონეზე და უდიდეს მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ერთხელ კიდევ ცხადყო როგორც ამიერკავკასიის ხალხების, ახალგაზრდობის, ისე სხვა მოძმე რესპუბლიკების ხალხების, ახალგაზრდობის მეგობრობის დიადი ძალა.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ზოგადი მეცნიერების, სამშენებლო, მექანიკის, არქიტექტურის, ქიმიის, მეტალურგიის, ელექტროტექნიკის, გეოლოგიის, სავთობისა და სამთო საქმის, რკინიგზის სამეცნიერო სექციების ასზე მეტი მოხსენება, რომელთა უმრავლესობას კვლევითი ხასიათი ჰქონდა.

ყოველ სექციას ჰყავდა სტუდენტი თავმჯდომარე, მოადგილე, მეცნიერი ხელმძღვანელი, ლექტორი და მდივანი.

კონფერენციის მონაწილეთა განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტის გ. ჩუბინიძის მოხსენებამ თემაზე „ხალხთა მეგობრობა“. მომხსენებელმა შესანიშნავად დაახასიათა საბჭოთა ხალხების მეგობრობის დიადი ძალა, ღრმა მეცნიერული ანალიზი გაუკეთა ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების ხალხთა მეგობრობის ისტორიულ საფუძვლებს.

დიდი ყურადღება მიიქცია აზერბაიჯანის პოლიტექნიკური ინსტიტუტის V კურსის სტუდენტის ბ. გუტინის საუცხოოდ დამუშავებულმა მოხსენებამ თემაზე: „სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების რეზერვები“.

მეტად საინტერესო იყო აზერბაიჯანის პოლიტექნიკური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტის ლ. პლუტკოვას მოხსენება „დრეკად ფუძეზე წონადი კოჭის რხევების საკითხის შესახებ“. მომხსენებელმა მიიღო და ნაწილობრივ გადაწყვიტა კოჭების სიხშირის განტოლებანი, აგრეთვე მოგვცა ვარიაციულ მეთოდზე დაყრდნობით კოჭების რხევის სიხშირის საკუთარი განსაზღვრა. საბოლოოდ მომხსენებელმა დაასკვნა, რომ ვარიაციული მეთოდის გამოყენება დრეკად ფუძეზე მდებარე კოჭების რხევის სიხშირის გამოთვლისას პრაქტიკულად დამაკმაყოფილებელ შედეგს გვაძლევს.

საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის V კურსის სტუდენტმა ნ. სპარსიაშვილმა მშვენივრად გააშუქა მექანიკის მეტად აქტუალური საკითხი „ფოლადის ჭრის დროს ბურბუშელის ჩაჯდომის დამოკიდებულება ჭრის ტემპერატურაზე“. მრავალი საინტერესო ცდის საფუძველზე სტუდენტს გამოაქვს დასკვნა, რომ ფოლადის ჭრის დროს ბურბუშელის ჩაჯდომა დამოკიდებულია არა მარტო კონტაქტური შრეების ტემპერატურაზე, არამედ მასახასიათებელი შრეს ძვრის ტემპერატურაზე და ჭრის სისქეზე.

ღრმად დამუშავებული მოხსენება წარმოადგინა კაუნასის პოლიტექნიკური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტმა პ. ლაპემ. მისი თემა იყო „ლიტვის ზღვისპირეთის არქიტექტურა“.

ამხ. პ. ლაპეს უშუალო მონაწილეობა აქვს მიღებული ლიტვის ზღვისპირეთის არქიტექტურული ძეგლების შემსწავლელი ექსპედიციის მუშაობაში. ამის საფუძველზე მას მოუგროვებია და შეუსწავლია უამრავი საინტერესო მასალა, რომელიც თანმიმდევრობით გააშუქა თავის მოხსენებაში. ამხ. პ. ლაპემ კონფერენციის მონაწილეებს უჩვენა ლიტვის ხალხური არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუშები.

მსმენელთა ინტერესი გამოიწვია ერევნის პოლიტექნიკური ინსტიტუტის III კურსის სტუდენტის რ. ბოსტანჯიანის მოხსენებამ, მისი თემა იყო „ქლორჰექსიდიენოლის მარტივი ეთერების სინთეზი“. მომხსენებლის მიერ წარმოდგენილ შრომას საკმაოდ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მის მიერ ქლორჰექსიდიენოლის მარტივი ეთერები უფრო იოლი ხერხით არის მიღებული, ვიდრე ეს ცნობილია ლიტერატურული მონაცემების მიხედვით. ამხ. რ. ბოსტანჯიანის შრომაში ასახულია ზოგიერთი ახალი ეთერის მიღება. ამ ეთერებს ახასიათებს პოლიმერიზაციის მაღალი უნარი და ისინი წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას მაღალმოლეკულური ნაერთების სინთეზისათვის, რომელსაც სახალხო მეურნეობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტმა ჯ. ბარბაქაძემ კონფერენციაზე წარმოადგინა მოხსენება თემაზე: „სანჩხერის საყალიბე ქვიშის და ასკანის თიხის გავლენა მიწვაზე“.

აღნიშნულ მოხსენების გარდა საერთო მოწონება და საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კიროვის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სიგელები დაამსახურეს გ. ვართანიანის და ი. შახბაზიანის, კ. კარაპეტიანის (ერევანი), ა. ბაგიროვის, რ. თარჯიმანოვის, დივან-ხონეს, ვ. გადუაევის, რ. მაგერამოვის, ი. გულიევის, შ. ალიევის, ვ. ბაბაზადეს, მ. გუგმანის (აზერბაიჯანი), გ. გაბრიჩიძის, ე. გვახარიას, ტ. აბაშიძის, გ. მოსულიშვილის, ფ. ბრუჩკის, გ. ტყავაძის, ზ. ხატლოშვილის, ჯ. ხანთაძის, მ. ცხადაძის, ზ. გასიევის, დ. ბურჯანაძის, ლ. დიმიტრიევის, ჯ. ელიაშვილის, ს. პალატნინის (თბილისი) მოხსენებებმა.

აზერბაიჯანის, სომხეთისა და ლიტვის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა ინახულეს თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილები, გაემგზავრნენ ქ. გორში, სადაც დაათვალიერეს დიდი სტალინის სახლი.

სამეცნიერო კონფერენციის მსვლელობის დროს მოწყობილი იყო არქიტექტურის სანიმუშო საკურსო პროექტების გამოფენა.

ი. გარათაშვილი,

საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის III კურსის სტუდენტი, სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების წევრი.

ახალი სასკოლო შენობები

სტალინირი. (საკ. კორ.). წელს სამხრეთ ოსეთში ფართოდ მიმდინარეობს სასკოლო შენობების აგება. მომავალი სასწავლო წლისათვის მზად იქნება საშუალო სკოლის ახალი შენობა სოფელ ავნევში (ზნაურის რაიონი), ხეთაგუროვში (სტალინირის რაიონი), წონაში (ჯავის რაიონი). სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და მოკლე ხანში დამთავრდება 8-წლიანი სკოლის შენებლობანი სტალინირის რაიონის სოფლებში თამარაშენსა და ძარწეშში.

გორი. (საკ. კორ.). დამთავრდა სოფელ გარიანის გოგებაშვილის სახელობის საშუალო სკოლისათვის ახალი ორსართულიანი შენობის შენებლობა.

სასკოლო შენობა, რომელსაც 32 ოთახი და ერთი დარბაზი აქვს, საექსპლოატაციოდ გადაეცემა ახალი სასწავლო წლიდან.

ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადება

(საქართველოს ჩაის ტრესტის 21 მაისის ცნობებით)

რაიონები	გეგმის შესრულება პროცენტობით წლიურისა	მაისისა
ბათუმის	12,2	66,8
ქობულეთის	8,4	44
გალის	10,2	46,1
ოჩამჩირის	9,2	41,4
გულრიფშის	9,5	43,3
სოხუმის	3	13,6
გუდაუთის	5,1	23,3
მახარაძის	6,7	36
ჩოხატაურის	9,8	54,4
ლანჩხუთის

საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი

შენევა, 22 მაისი. (საკავშირო სპეც. კორ.). დღეს საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე ერთი კვირის შეწყვეტის შემდეგ განახლდა კორეის საკითხის განხილვა, სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. მ. მოლოტოვი.

მოვაგონებთ მკითხველს, რომ მხოლოდ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციამ შეიტანა 27 აპრილს თათბირის განსახილველად იმ ღონისძიებათა კონკრეტული პროგრამა, რომელთა მიზანია კორეის ეროვნული ერთიანობის რაც შეიძლება მალე აღდგენა და ერთიანი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული კორეის სახელმწიფოს შექმნა. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წინადადებანი, რომელსაც მხარი დაუჭირეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის დელეგაციებმა, ითვალისწინებენ სრულიად კორეის არჩევნების მოწყობას მთელი კორეის მოსახლეობის ნების თავისუფალი გამოვლინების პირობებში. ასეთი არჩევნები უნდა მომზადდეს და ჩატარდეს ორივე კორეული ხალხის ძალებით ისე, რომ არ იყოს უცხოეთის ჩარევა და ზეგავლენა. ამ მიზნით კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის პროექტი ითვალისწინებს სრულიად კორეის კომისიის შექმნას კორეის ორივე ნაწილის წარმომადგენლებისაგან და კორეიდან გარკვეულ ვადაში უცხოეთის მთელი ჯარების გაყვანას. სახელმწიფოებმა, რომლებიც განსაკუთრებით დაინტერესებული არიან შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის უზრუნველყოფით, ამ პროექტის შესაბამისად უნდა იკისრონ კორეის შემდგომი მშვიდობიანი განვითარების უზრუნველყოფის გალდებულებანი.

რაც შეეხება სამხრეთ კორეისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებს, პოზიცია, რომელიც მათ თათბირზე ჩამოაყალიბეს, ისახავს სრულიად უსაფუძვლო პრეტენზიებს, რომ კორეელ ხალხს თავს მოახვიონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1950 წლის 7 ოქტომბრის უკანონო გადაწყვეტილება და გაავრცელონ მთელ კორეაზე ამერიკის ბატონობა ლისინმანური რეჟიმის ალმით. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სამხრეთ კორეის წარმომადგენლებმა ცხადყვეს, რომ სურთ ჟენევაში მოლაპარაკების გზით კორეელ ხალხს თავს მოახვიონ ის, რაც ძალით ვერ მოახვიეს თავს ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომის მსვლელობაში.

დღევანდელ სხდომაზე პირველი გამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური ჯოუ ენ-ლაი, რომელმაც დამაჯერებლად ცხადყო, რომ მოსაზრებები, რომლებიც გაჟღერდა მსვლელობაში წამოაყენეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წინადადებათა წინააღმდეგ, უსაფუძვლოა და რომ ეს წინადადებები საფუძვლად უნდა დაედოს ამ თათბირზე შეთანხმების მიღწევას. ჯოუ ენ-ლაიმ კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, ვერ დავეთანხმებით წინადადებებს იმის შესახებ, რომ არჩევნები კორეაში მოეწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეობით, რამდენადაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია კორეის ომში ერთ-ერთი მეომარი მხარეა და კორეის საკითხის მიუკერძებლად მოწესრიგების უფლება დაკარგა. სრულიად კორეის არჩევნები მომზადდეს და ჩატარდეს თვით კორეელების ხელით, სრულიად კორეის კომისიის ხელმძღვანელობით, რომელშიც შედიან კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და კორეის რესპუბლიკის წარმომადგენლები. იმ მიზნით, რომ სრულიად კორეის კომისიას ხელი შეუწყონ მთელ კორეაში არჩევნების მოწყობის საქმეში, სრულიად კორეის საარჩევნო კანონის შესაბამისად, თავისუფლების პირობებში, რომელიც გამორიცხავს უცხოეთის ჩარევას, ჯოუ ენ-ლაიმ წინადადება შეიტანა შეიქმნას ნეიტრალური ქვეყნების კომისია, რომელიც თვალყურს ადევნებს სრულიად კორეის არჩევნების მოწყობას.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნამ ირმა, რომელმაც სიტყვა ითქო ჯოუ ენ-ლაის შემდეგ, ანალიზი გაუკეთა ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი მომხრე ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს წარმომადგენელთა პოზიციას, რომლებიც ცდილობდნენ იმის მიღწევას, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას ეცნო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებანი კორეის საკითხზე, და ცხადყო, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არ შეუძლია იქონიოს ასეთი ცნობის პრეტენზია.

შემდეგ ნამ ირი დაწვრილებით შეეხო მოსაზრებებს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წინადადებათა წინააღმდეგ და წარადგინა ზოგიერთი დამატებითი ახსნა-განმარტება ამ წინადადებათა გამო.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა მოიყვანა დამაჯერებელი მოსაზრებანი იმ თვალსაზრისის დასაცავად, რომ სრულიად კორეის კომისიაში საკითხები უნდა გადაწყდეს ამ კომისიის ორივე ნაწილის საერთო თანხმობით. ნამ ირმა განმარტა, რომ სრულიად კორეის ეროვნული კრება, რომელიც მოწვეული იქნება მთელ კორეაში დემოკრატიული არჩევნების შედეგად, შეიქმნება მთელი კორეის მოსახლეობის პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის შესაბამისად, ნამ ირი დაეთანხმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წინადადებას, რომ მთელ კორეაში არჩევნების მოწყობის საქმეში სრულიად კორეის კომისიისათვის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნას ნეიტრალური ქვეყნების კომისია, რომელიც თვალყურს ადევნებს სრულიად კორეის არჩევნების მოწყობას.

სხდომაზე უკანასკნელი გამოვიდა სამხრეთ კორეის წარმომადგენელი ბიონ იონ ტე. მან თათბირის განსახილველად შეიტანა „ახალი“ წინადადებანი, რომლებსაც დღევანდელ სხდომამდე რამდენიმე დღით ადრე ფართო რეკლამა გაუკეთა ზოგიერთმა გაზეთმა, როგორც კომპრომისულ წინადადებებს, რომლებიც თითქოს შეთანხმების გზას სახავენ. მაგრამ იმან, რაც თქვა ბიონ იონ ტემ, და იმან, რაც მან მოითხოვა, ცხადყო, რომ ღონისძიებანელთა მთავრობის პოზიციაში არაფერი არ შეცვლილა.

სამხრეთ კორეის დელეგაციის წინადადებანი ითვალისწინებენ არჩევნების მოწყობას არა მარტო ჩრდილოეთ კორეაში, როგორც ამას დელეგაცია ადრე მოითხოვდა, არამედ სამხრეთ კორეაშიც. მაგრამ სრულიად კორეის არჩევნების მოწყობას სამხრეთ კორეის დელეგაციის წინადადებებში თან ახლავს ისეთი პირობები, რომლებიც ფაქტიურად შეუძლებელს ხდის ამ არჩევნებს. სამხრეთ კორეის წარმომადგენელი თავის წინადადებებში აღნიშნავს, რომ არჩევნები უნდა მოხდეს „გაერთიანებული ერების მეთვალყურეობით და ამ საკითხზე გაერთიანებული ერების მიერ ადრე მიღებული რეზოლუციების შესაბამისად“. სამხრეთ კორეის დელეგაციის წინადადებები ითვალისწინებენ არჩევნების მოწყობას ამერიკის ჯარების მიერ სამხრეთ კორეის ოკუპაციის პირობებში. მაშინ, როცა ამერიკელთა საოკუპაციო ჯარების გაყვანა სამხრეთ კორეიდან განუსაზღვრელი ვადით უნდა გადადიოს, ჩინელი სახალხო მოხალისენი ამ წინადადების თანახმად გაყვანილ უნდა იქნან ჩრდილოეთ კორეიდან ჯერ კიდევ არჩევნებამდე.

სამხრეთ კორეის წინადადებანი ითვალისწინებენ აგრეთვე „კორეის მთლიანობისა და დამოუკიდებლობის გარანტიებს“ გაერთიანებული ერების მხრივ. ამრიგად, სამხრეთ კორეის დელეგაციის „ახალი“ წინადადებების მიზანია გაავრცელოს სრულიად კორეის ნამდვილად თავისუფალი არჩევნების მოწყობა და კორეის გაერთიანება.

სხდომის დახურვისას თავმჯდომარემ ვ. მ. მოლოტოვმა თქვა, რომ კორეის საკითხზე შემდგომი სხდომის თარიღი შეთანხმებულ იქნება ჩვეულებრივი წესით.

გაიხსნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესია

ბერლინი, 24 მაისი. (საკავშ.). დღეს 15 საათსა და 45 წუთზე (ბერლინის დროით) საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესია. დარბაზი, რომელშიც სესია მიმდინარეობს, მორთულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ალებით, სიტყვა „მშვიდობის“ წარწერებით ათ ენაზე, ცოცხალი ყვავილებით.

სხდომას ესწრებიან მრავალი ქვეყნის მშვიდობის მოძრაობის დელეგაციები, მათ შორის საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, საფრანგეთის, იტალიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის და სხვა ქვეყნების დელეგაციები.

სესია გახსნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პიუროს ვიცე-თავმჯდომარემ გო მო ჟომ.

ბოლო მოეღოს პოლიციის თვითნებობას!

გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის განცხადება

ბერლინი, 23 მაისი. (საკავშ.). ადნ-ის საგანგებო დიუსელდორფიდან გადმოგვცემს:

გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობამ გამოაქვეყნა განცხადება გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის წევრების ვალტერ ფიშის, რიჰარდ შერინგერისა და კარლ ცემკეს უკანონო დაპატიმრების შესახებ. განცხადებაში, კერძოდ, ნათქვამია:

„ადენაუერის აშინებს ჩვენი ხალხის მზარდი მოსწრაფება ბრძოლისადმი. ჩვენს ხალხს სურს ჩვენი სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანება მოლაპარაკებისა და ურთერთგაგების დამყარების გზით. ეს არის აგრეთვე იმის მიზეზი, თუ რატომ ცდილობს ადენაუერი პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოაშოროს მშვიდობისათვის, ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის თვალსაჩინო მებრძოლნი და, მისდევს რა ჰიტლერის გზას, საპყრობილეებში ათავსებს მათ“.

გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობა მოუწოდებს ბონლ მოეღოს ამერიკის ჩარევას დასავლეთ გერმანიის საქმეებში, პოლიციის თვითნებობას გერმანიის ნამდვილი პატრიოტების წინააღმდეგ.

„გერმანელ ხალხს, — ნათქვამია განცხადებაში, — აქვს ეროვნული თვითგამორკვევის, დემოკრატიისა და თავისი აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლება“.

გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობა მოითხოვს დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ვალტერ ფიში, რიჰარდ შერინგერი, კარლ ცემკე და ყველა დაპატიმრებული გერმანელი პატრიოტი.

საბჭოთა ანსამბლ „ბერიოზკას“ უღიდესი წარმატება ლონდონში

ლონდონი, 23 მაისი. (საკავშ.). გუშინ ლონდონის თეატრ „სტოლში“ გაიმართა საბჭოთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ბერიოზკას“ საბოლოო კონცერტი. კონცერტმა უდიდესი წარმატებით ჩაიარა. ინგლისში ყოფნის დროს ანსამბლმა გამართა 29 კონცერტი, რომლებსაც დაესწრო 52 ათასზე მეტი კაცი.

საბოლოო კონცერტის დაწყების დიდი ხნით ადრე თეატრთან უდიდესი რიგები შეიქმნა. თეატრი ხალხით იყო გაჭედილი და მაყურებელი ყოველ ნომერს მქუხარე ტაშით ხვდებოდნენ. კონცერტის დამთავრების შემდეგ მაყურებლებმა საბჭოთა მსახიობებს მქუხარე ოვაცია გაუმართეს. სცენა ყვავილებით აივსო.

23 მაისს ანსამბლის მსახიობები მიფრინავენ ბრიუსელს, სადაც მთელ რიგ კონცერტებს გამართავენ.

ჩინეთის ხალხთა მეგობრულ ოჯახში

ტიბეტის მშვიდობიანი განთავისუფლების მესამე წლისთავი

პეკინი. (საკავშ.). 23 მაისს შესრულდა სამი წელი მას შემდეგ, რაც ხელი მოაწერეს შეთანხმებას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ სახალხო მთავრობასა და ტიბეტის ადგილობრივ მთავრობას შორის ტიბეტის მშვიდობიანი განთავისუფლების ღონისძიებათა შესახებ.

1951 წლის 23 მაისს ტიბეტში დაიწყო მისი ისტორიის ახალი ეტაპი, რომელიც თავისუფალია უცხოეთის ბატონობისა და რეაქციონერთა უღლისაგან. ტიბეტელებსა და ჩინელებს შორის დამყარდა მეგობრობის, თანამშრომლობის, ურთიერთდახმარებისა და ურთიერთპატივისცემის დამოკიდებულება, რაც ხელს უწყობს ტიბეტელი ხალხის ეკონომიური და კულტურული ცხოვრების განვითარებას, ტიბეტელი ხალხისა, რომელიც ჩინეთის ყველა ხალხის ერთიან მეგობრულ ოჯახშია. წარსული სამი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსახლეობის მომარაგება მარცვლეულით, რომლის დიდ ნაკლებობასაც განიცდიდნენ წინათ. ამჟამად მთის გზებით ტიბეტში შეაქვთ ბევრი სურსათ-სანოვაგე. სიკან-ტიბეტის გზატკეცილის მშენებლობის დამთავრებისთანავე კავშირი ტიბეტთან საფუძვლიანად გაუმჯობესდება და ტვირთბრუნვა მნიშვნელოვნად გაიზრდება. გასული სამი წლის განმავლობაში ტიბეტში მნიშვნელოვნად გაფართოვდა მარცვლეული კულტურებისა და ბოსტნეულის ნათესები. მიღწეულია კარგი შედეგები ჩაისა და ზეთოვანი კულტურების გაშენებაში.

ცენტრალურმა სახალხო მთავრობამ დიდი დახმარება გაუწია ტიბეტელ გლეხებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში და ამ მიზნით მისცა უპროცენტო სესხი. ლხასის მიდამოებში შექმნილია აგროტექნიკური კურსები, სადაც გლეხები სწავლობენ.

ტიბეტელ გლეხთა მყოფელობითი უნარი და მათი ცხოვრების დონე ამაღლდა. ძლიერ გაიზარდა მოთხოვნილება საქონელზე და განსაკუთრებით ჩაიზე. მატულობს მოთხოვნილება მარცვლეულზე, აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილებსა და სხვა საქონელზე, რომელიც ჩინეთის სხვადასხვა პროვინციიდან შემოდის.

წინათ ტიბეტში სულ ორი დაწყებითი სკოლა იყო, მაგრამ სწავლება მიმდინარეობდა ერთში ინგლისურ ენაზე, მეორეში — ჩინურ ენაზე. ტიბეტური სკოლები არ ყოფილა. ახლა ტიბეტში სამი დაწყებითი სკოლაა: ლხასში, სადაც 1.000 მოსწავლე მეცადინეობს, შიგატზეში და გიანტზეში. სწავლება სკოლებში ტიბეტურ ენაზე წარმოებს. სკოლები მალე გაიხსნება ტიბეტის სხვა ქალაქებშიც. ბევრი ტიბეტელი ჭაბუკი და ქალიშვილი სწავლობს პეკინისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა ქალაქების სასწავლებლებში. ისინი ემზადებიან იმისათვის, რომ გახდნენ ექიმები, მასწავლებლები, აგრონომები და ინჟინრები. სწავლის დამთავრების შემდეგ ისინი ტიბეტს დაბრუნდებიან.

1952 წელს ლხასში პირველად შეიქმნა პოლიკლინიკა, რომელიც შემდეგ ლხასის 90-საწოლიან საბალხო საავადმყოფოდ გადაიქცა. იქ მკურნალობა უფასოდ წარმოებს. პოლიკლინიკები შექმნილია აგრეთვე შიგატზესა და გიანტზეში. გარდა ამისა, ტიბეტის სხვადასხვა რაიონში მუშაობენ სამედიცინო ბრიგადები, რომლებიც ავადმყოფთა მკურნალობასთან ერთად მოსახლეობაში ეწევიან ანსწავლა-განმარტებითს მუშაობას. დაავადებათა თავიდან აცილებისათვის. ტიბეტში მუშაობენ აგრეთვე კულტმუშაკთა ბრიგადები, რომლებიც მოსახლეობას უწევენ კინოფილმებს, უშვებენ გაზეთებს ტიბეტური ენაზე და სხვ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა საჩუქარი კორეელ ხალხს

ბერლინი, 23 მაისი. (საკავშ.). ათასობით ბერლინელი შეიკრიბა 1954 წლის 22 მაისს ბერლინის ოლიმპიადის ვაგზალზე მოწყობილ მიტინგზე, რომელიც გაიმართა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობისადმი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა საჩუქრებით დატვირთული ეშელონის გაცილების გამო. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა კორეელ ხალხს გაუგზავნეს 3 მილიონი მარკის ღირებულების სხვადასხვა სამრეწველო პროდუქციით დატვირთული 60 ვაგონი.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ჭალაჭ ვაიმარის ობერ-ბურგომისტრმა გ. ვიდემანმა. მან თქვა, რომ ეს საჩუქარი კორეელ ხალხთან გერმანელი ხალხის ძმური ურთიერთობის გამოხატულებაა.

სპასუხო სიტყვა წარმოთქვა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩმა პაკ კილ-ენმა. მან მადლობა გადაუხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს იმ წვლილისათვის, რომელიც შეიტანეს მათ კორეის აღდგენის საქმეში, და გერმანელ ხალხს უსურვა წარმატება გერმანიის გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკება პარიზში

პარიზი, 23 მაისი. (საკავშ.). გუშინ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, როგორც ფრანს პრესის სააგენტო აღნიშნავს, გაიმართა მნიშვნელოვანი თათბირი, რომელსაც დაესწრნენ აქ გაღლით მყოფი იდენი, ლანიელი, ბიდო, ეროვნული თავდაცვის მინისტრი პლევენი, უპორტფელო მინისტრი ბარაშენი და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სტატს-მდივანი ჟიული. თათბირზე, საგანგებო სიტყვით, განხილულ იქნა ინდოჩინეთის პრობლემა და ჟენევის თათბირის პერსპექტივები. გარდა ამისა, საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა იდენისა და ლანიელის საუბარი.

საფრანგეთ-ამერიკის აქტიური მოლაპარაკება ინდოჩინეთის საკითხზე, რაც ამ უკანასკნელ ხანს ერთსა და იმავე დროს წარმოებს პარიზში, ჟენევასა და ვაშინგტონში, მნიშვნელოვანწილად მიმდინარეობს, როგორც გაზეთები წერენ, ინგლისის მთავრობის ზურგს უკან, რასაც არ შეუძლია არ გამოიწვიოს ლონდონში სერიოზული გაღიზიანება და შეშფოთება. გაზეთი „მონდი“ აღნიშნავდა, რომ ინგლისის ჩამოშორებამ საფრანგეთ-ამერიკის მოლაპარაკებისაგან მნიშვნელოვანი ნაპრალი შექმნა ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობაში. სწორედ ამ გარემოებამ აიძულა იდენი შეჩერებულიყო საფრანგეთის დედაქალაქში, სანამ ლონდონს გაემგზავრებოდა, რათა მოეხსენებინა ჩერჩილისათვის, თუ როგორ მიმდინარეობს ჟენევის თათბირი.

სპორტის ამბები

მსოფლიო ჭიდაობის ჩემპიონატი

22 მაისს ტოკიოში დაიწყო მსოფლიო პირველობის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში. ასპარეზობაში ჩაება 15 ქვეყნის 90-ზე მეტი მოჭიდავე. შეჯიბრების პირველი დღე აღინიშნა საბჭოთა სპორტსმენების წარმატებით. მათ 7-დან 6 წონაში გამარჯვება მოიპოვეს. უმჩატეს წონაში მ. ცალქალამანიძემ დაამარცხა ამერიკის შეერთებული შტატების მოჭიდავე რ. დელგონო, ქვემსუბუქ წონაში ნ. მუზაშვილმა — ა. რაისი (ამერიკის შეერთებული შტატები), ქვესაშუალო წონაში ვ. ბალავაძემ — ბ. ბოკი (თურქეთი), საშუალო წონაში გ. კარტოზიამ — ოლიმპიური თამაშის ორგზის ჩემპიონი—ი. გრიგორეიგი (შვეცია), ქვემძიმე წონაში ა. ენგლასმა — ა. ათანი (თურქეთი), მძიმე წონაში ა. მეკოკიშვილმა — ტ. კანგასნიემი (ფინეთი). მჩატე წონაში ვ. გიგიაძემ წააგო შეხვედრა მ. დაღისტანლუსთან (თურქეთი).

უნგრელ და ინგლისელ ფეხბურთელთა მატჩი

23 მაისს ბუდაპეშტის სახალხო სტადიონზე გაიმართა მატჩი ფეხბურთში ინგლისისა და უნგრეთის ნაკრებ გუნდებს შორის.

შეჯიბრების პირველი ნახევარი მიმდინარეობდა უნგრელ ფეხბურთელთა უპირატესობით და დამთავრდა მათივე სასარგებლოდ ანგარიშით 3:0. მე-13, 21-ე და 30-ე წუთებზე ბურთი გაიტანეს ლანტოშმა, პუშკაშმა და კოჩიშმა.

მეორე ტაიმში უნგრელმა ფეხბურთელებმა დამატებით 4 ბურთი გაიტანეს, თავიანთ კარში კი მხოლოდ 1 ბურთი მიიღეს. შეჯიბრება დამთავრდა უნგრელ ფეხბურთელთა გამარჯვებით 7:1.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

მოსკოვი, 22 მაისი. აქ გაიმართა მორიგი ასპარეზობა ფეხბურთში. თამაშობდნენ გასული წლის ჩემპიონი დედაქალაქის „სპარტაკი“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“. შეჯიბრება დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:1.

მოსკოვი. 23 მაისი. დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე გაძართული ასპარეზობა საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა კოლექტივებს შორის დამთავრდა ფრედ 0:0.

გორკი. 22 მაისი. მინსკის სპარტაკელებმა მორიგი შეხვედრა გამართეს გორკში ადგილობრივი „ტორპედოს“ წინააღმდეგ. შეჯიბრება დამთავრდა ფრედ 0:0.

თემატიური საღამო

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება 1954 წლის 26 მაისს საქართველოს მედიცინის მუშაკთა კლუბის საზაფხულო ბაღში აწყობს რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისადმი მიძღვნილ თემატიურ საღამოს. საღამოს პროგრამაშია მოხსენებები: „რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წელი“ (მოხსენებელი პროფესორი ი. ცინცაძე), „დ. გურამიშვილი და უკრაინა“ (მოხსენებელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი ა. ბარამიძე), „ლესია უკრაინკა საქართველოში“ (მოხსენებელი მწერალი ლ. ასათიანი).

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურცილაძე.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

გასტროლები

სვერდლოვსკის ა. ლუნაჩარსკის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტის

ნიაზი დაუტოვის მონაწილეობით

25 მაისს

შ. გუნო— **ფაუსტი** და

ვალპურგის ღამე

26 მაისს

სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, სტალინური პრემიის ლაურეატის

დავით გამრეკელის მონაწილეობით

რ. ლეონკავალო — **ჯამბაზები**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი

(ძერჟინსკის ქ. № 8)

4-VI-54 წ., დღის 1 საათზე (საქტო დარბაზში) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

1. **გრიგოლ ალექსის-ძე კაკიაშვილი** თემაზე: „არსენას სახე ქართულ ლიტერატურაში“.

2. **გიორგი ალექსანდრეს-ძე კალანდაძე** თემაზე: „ქართული ხალხური ბალადა“.

დისერტაციების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ 1954 წლის 29 მაისს საღამოს 8 საათზე სამედიცინო ინსტიტუტის აუდიტორიაში (ველიქიშვილის ქ. 10) შედგება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომა, მიძღვნილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის 1924 წლის კურსდამთავრებულ ექიმთა გამოშვების 30-ე წლისთავისადმი.

ღღეს თბილისის თეატრებსა და კინოებში

მარჯანიშვილის სახელობის — უფსკრულთან, **გრიბოედოვის** სახელობის — პროკურორის ქალიშვილი, **სომხური დრამის** — ვაგიფი, **მუსიკალური კომედიის** — ჩვენი ნაცნობები, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — სურამის ციხე (პრემიერა № 49, 7 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — პავლიკ მოროზოვი (11 ს. და 3 ს. ორჯონიკიძის სახელობის პარკში), **სანტარული კულტურის** — პლატონ კრეჩეტი.

* * *

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, ისანი, 26 კომისრის — იმედის გზა, **კომკავშირელი, კოლხიდა, კიროვის სახელობის პარკი, ოფიცერთა სახლი** — სიყვარულის პრემა, **კომკავშირელი (საზაფხულო)** — ძახველის ჭალა, **კოლხიდა** (საზაფხულო) გაზაფხულის დღეები, **ისანი** (საზაფხულო) — არ არის შვილობა ზეთისხილის ბაღებში, **დიდუბე** — ერთგული მეგობრები, **კოლმეურნე** — ალბანეთის დიდი მეომარი სკანდერბეგი.

რუსთაველის აზოტ-სასუქების ქარხანას მუდმივ სამუშაოდ ესაჭიროება: ქიმიურ აპარატურაზე მომუშავეები, კომპრესორთა, ტუმბოთა და ვენტილატორთა მემანქანეები და მათი თანაშემწეები, ლაბორანტები და ტექნიკოს-ანალიტიკოსები, ელექტრომონტიორები და მეკავშირეები, ოსტატები და ზეინკლები, მანქანა-დანადგართა და საკონტროლო-გამზომ ხელსაწყოთა შემკეთებლები.

ქარხანა იღებს აგრეთვე მოწაფეებს, რომლებსაც არასრული საშუალო განათლება მაინც უნდა ჰქონდეთ.

ცნობებისათვის მიმართეთ: ქ. რუსთავის აზოტ-სასუქების ქარხნის კადრების განყოფილება.

მამიდაშვილები ვანო, ნიკოლოზ, მიხეილ, თამარ, სოფიო, მარიამ, ოლღა, ლადო, ბაბუღია, ეკატერინე გუდიაშვილები, დეიდაშვილი ზინა ბაქვა იუწყებიან **არჩილ ნიკოლოზის-ძე ავალიშვილის** გარდაცვალების.

შვილი ოლია, სიძე ვარლამ, შვილიშვილები თამარ, კატინა, ქეთო, ნათელა ებრაელიძეები იუწყებიან **ეკა ანტონის ასულ ცინცაძე-შარაბიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 26-V, დკრძალვა 27-V ს. ავარაკში (ლანჩხუთის რ.).

მეუღლე ცაცა ლომიძე, შვილები გურანდა, სულიკო, დები ქეთო, ვარიჩკა კალანდაძეები იუწყებიან **კარლო კაციას-ძე კალანდაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26-V, 8 ს. გამოსვენება 27-V, 6 ს. კამოს ქ. № 67.

შვილები ეფროსინე, ვარო თოდუები, შვილიშვილები ვერა ჩარგაზია, ლავრა და გოგი ლაგვილავები, სიძე ამირან ლაგვილავა ოჯახით იუწყებიან **ფაჩუ ანტონის ასულ ცაავა-თოდუას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-V სოფ. სალხინოში (გეგეჭკორის რ.).

მეუღლე ბაბილინა, შვილები სერგო, მარგარიტა, მელანა, რძალი გოგონა, სიძეები ნ. ყენია, შ. ცხვედიანი ოჯახებით იუწყებიან **დავით შამშეს-ძე კლდიაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26-V, 8 ს. გამოსვენება 27-V, 5½ ს. ვერცხლის შეს. № 3.

დედა დარიკო ტრაპაიძე, ქმარი მარლენ, შვილი თენგიზ, დედამთილი პატკუ, მამამთილი ელისე. მაზლი სოსო, შვილი ნათელა დარჩენები იუწყებიან **სესილი ზებედეს ასულ რამიშვილი-დარჩიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26-V, 8 ს. გამოსვენება 27-V, 5 ს. ზაქარაძის ქ. № 41.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის და პრესის მმოხილვის—3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურის და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ჯგუფისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

უე 04603

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.